# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 აპრილი, 2009 წელი.

№ 75 (6176)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




„...ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!“





## აჩვენეთ ეს ხალხი მსოფლიოს და... საქართველო მალე აღარ იქნება!

2

**ზურაბ აბაშიძე:**



## აუცილებელია სერიოზული ცვლილებები და რეფორმები

3

## ცუგცვანგი,



ანუ რამ გამახსენა გაბაწრული ვირთხა ბატონის ბოლო ფრაზა

2

## რა ხდებოდა უნივერსიტეტში 31 წლის წინათ და რა ხდება იქ ახლა



6

## აქციები არც სადღესასწაულო დღეებში შეწყდება!

**საპროტესტო** აქციები და პიკეტირება პრეზიდენტის რეზიდენციასთან, საზოგადოებრივ მაუწყებელთან და პარლამენტთან აღდგომის სადღესასწაულო დღეებშიც გაგრძელდება.

ამის შესახებ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან გამართულ საინფორმაციო მიტინგზე „მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა.

— 9 აპრილის საორგანიზაციო შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პიკეტირება არ შეწყდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქციები გაგრძელდეს აღდგომის დღესასწაულის დღეებშიც, — აღნიშნა ბესელიამ.

მისივე თქმით, აღდგომის შემდეგ ოპოზიცია დაიწყებს გასვლებს საქართველოს რეგიონებში და მხარდამჭერების მობილიზებას, რათა საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობა მთელმა საქართველომ შეძლოს.

ინტერპრესნიუსი

4

## მთავრობას ქამრის მოჭერა დაავიწყდა!

## მ. სააკაშვილი: ფულის დიდი ნაწილი (პროტესტების დაფინანსება) რუსი ოლიგარქებისგან შემოდის...

8

◎ ინფორმაცია

## „სააკაშვილი ქვეყანას უკვე ვერც ერთი მიმართულებით ვერ მართავს“

**„საქართველოს გზის“ ლიდერის სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი ქვეყანას უკვე ვერც ერთი მიმართულებით, მათ შორის ვერც პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით ვერ მართავს.**

პრეზიდენტს არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია არც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გარდა ელდარ შენგელაიას დაჯილდოებისა. ამასთან, პარლამენტი ვერ იკრიბება და ფაქტობრივად ის გადატანილია მერიაში. რაც შეეხება ეკონომიკურ მიმართულებას, სააკაშვილი თავად აღიარებს, რომ არც ერთი ინვესტორი არ შემოდის, რასაც ჩვენ გვაბრალებს, — ნათქვამია განცხადებაში, რომელშიც ასევე აღნიშნულია, რომ ხელისუფლებას უკვე უჭირს სოციალური კუთხით აღებული ვალდებულების შესრულებაც, კერძოდ, მერია აღარ იხდის ხელფასებს და დახმარებებს შუქსა და გაზზე.

ხელისუფლება ველარ ასრულებს თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობებს, ველარ აწარმოებს საგარეო პოლიტიკას და ამ მიმართულებითაც მხოლოდ ცარიელ პროპაგანდისტულ მოქმედებებს ვხედავთ და საქართველოს ნელ-ნელა იზოლაციის და რუსეთისკენ გადახრას. სახელმწიფო აპარატი მხოლოდ ერთ საქმეს აწარმოებს პროპაგანდას, — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილის აზრით, მიხეილ სააკაშვილი ასლან აბაშიძის ბედს გაიზიარებს და როგორც აბაშიძე იძახდა, არაფერი ხდებაო და ბათუმში ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებისთვის ემზადებოდა, ისე აპირებს ხელისუფლება 24-27 აპრილს, თბილისში ძიუდოს საერთაშორისო შეჯიბრის გამართვას, რომლითაც მისი გადადგომა უფრო მოახლოვდება.

ქვეყანა უკვე უმართავია, პროპაგანდით ამ სიცარიელეს დიდხანს ვერ გადაფარავენ. მთავარია, რომ ჩვენ არ დავიღალოთ. ყოველდღე სამ საათზე შევიკრიბოთ. მიშა წავა. ჩვენ გავიმარჯვებთ, — ნათქვამია „საქართველოს გზის“ განცხადებაში.

## ბრაიზა ჩამოვა... რისთვის?

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ამიერკავკასიის საკითხებში მეთიუ ბრაიზა მალე თბილისს ეწვევა.**

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ვაშინგტონში შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

ბრაიზა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ადგილზე გაეცნობა. ამჟამად კი ვიზიტით ბაქოში იმყოფება.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

◎ სიტყვითმკვლელები





**ნაციონალურ მოძრაობას მრავალი „ბრმა, ყრუ და ბლუ“ მხარდამჭერი ჰყავს, მაგრამ, ბოლო მონაცემებით, ეკა ხერხეულიძეს და ნუგზარ წიკლაურს ვერავინ შეედრება.**

აქუს ტელევიზიამ, ერთობ მაღალი და ძვირფასი სახელი „კავკასია“ რომ ჰქვია, ეს ორი ოდიოზური პიროვნება ზედიზედ მეორედ მიიწვია ორშაბათის მომწამვლელ ღამის „სანახაობაში“, რომელსაც სამშაბათობით ალეკო ელისაშვილი, პარასკევობით კი ნინო ჯანგირაშვილი უძღვებიან (თუ ამას გაძღოლა ჰქვია!)...

ვინც ბოლო გადაცემას, 14 აპრილის „ბარიერს“, ბოლომდე გაუძლო, დარწმუნებული ვარ, ჩვენსავით ნერვებდაწყვეტილი, გაოგნებული, აღშფოთებული დარჩა და მთელი ღამე თეთრად გაათენა.

## აჩვენეთ ეს ხალხი მსოფლიოს და... საქართველო მალე აღარ იქნება!

მაყურებელთა გზავნილებს შეგახსენებთ:

**„ხერხეულიძე და წიკლაური ნაციონალური მოძრაობის სახეები არიან“;**

**„გაიტანეთ ეს ქალი, მთელ საქართველოს ნერვებს უშლის“;**

**„ხერხეულიძე და წიკლაური რომ ისევ ერთად მოიწვიეთ, არა გრცხვენიათ?..“**

**„ამდენს რატომ ალაქლაქებთ, დროზე მოაშორეთ ეკრანს...“**

მოაშორეს კი არა, ეკა და ნუგზარი, როგორც ტიპურ დემაგოგებს და ლაქიებს ჩვევიათ, მაინც ჯორივით უცილობლობდნენ და პრეზიდენტ სააკაშვილს საგანგებოდ უკმევდნენ გუნდრუკს: რის გადადგომა, რა გადადგომა, ეს საკითხი არც განიხილება, მოსახლეობის ერთ ჯგუფს თუ საკუთარი უარყოფითი შეხედულება აქვს საქართველოს დღევანდელ უალტერნატივო ლიდერზე, დიდი ამბავი, ეს დემოკრატიული ქვეყნისთვის დამახასიათებელი პროცესია!..

მოდი და, ნუ გაოცდები... მოდი და, ნუ „გაგიჟდები“... „მოდი და, ნუ გაგისკდება გული, — პრეზიდენტი, რომელმაც ქვეყანა მართლა დააქცია, ერს ღირსება აჰყარა, ტერიტორიები ორ დღეში დაკარგა, მსოფლიოში გაუწონასწორებელი, უტაქტო, არაადეკვატური, არანორმალური კაცის სახელი დაიმკვიდრა, ინტელიგენცია „ჩარეცხა“, 7 ნოემბრის სისხლიანი ორგია მოგვიწყო, „იმედი“ უმოწყალოდ დაარბია, ხალხის კერძო საკუთრება გაანიავა, ბიზნესი მოსპო, სასამართლო და პოლიცია ჯიბეში ჩაისვა, ქვეყანაში დესპოტიზმი, შიში და სიცრუე დანერგა, — თურმე უალტერნატივო ლიდერი ყოფილა!

წიკლაურმა პატრიარქიც კი დაამცირა, რა უფლება აქვს, პოლიტიკაში რომ ერევაო!

ვაი, შენ, უბედურო საქართველო! ნაციონალური მოძრაობის ცოდვის შვილები, — ხერხეულიძეები, წიკლაურები, თარგამაძეები, ბოკერიები, მერაბიშვილები, ცისკარიშვილები, ზოდელავები, უგულავები და სხვა კოლექტიური სააკაშვილები, მიზანმიმართულად ანადგურებენ ქართულ ცნობიერებას, ქართულ სახელმწიფოს, თითოეული ქართველის სიცოცხლეს... **დიახ, ტელეეკრანიდან გადმონთხეული სიცრუეა და დემაგოგია ფიზიკურადაც სპობს ადამიანს.**

**ტელეჟურნალისტებო, „პანდორას ყუთებით“ უფრო ხშირად აჩვენეთ ეს სიტყვითმკვლელები მსოფლიოს და... ისედაც გაპარტახებული საქართველო მალე აღარ იქნება!**

**თამარ ქავთარაძე,**
**ზურაბ მაჭავარიანი,**
**თამაზ იოსებიძე,**
**ტელემაყურებლები.**

◎ ძალაუფლება და დილემა

# ცუგცვანგი,

## ანუ რამ გამახსენა გაბაწრული ვირთხა ბატონის ბოლო ფრაზა

**„ჭადრაკში: ფიგურების განლაგება, რომლის დროსაც აუცილებელია ისეთი მორიგი სვლის გაკეთება, რომელსაც მოსდევს მდგომარეობის გაუარესება და პარტიის წაგებაც კი“. — ასე განმარტავს ამ საჭადრაკო ტერმინს უცხო სიტყვათა ლექსიკონი. დღევანდელ ვითარებასთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილი და მისი რაზმი პოლიტიკურ ცუგცვანგში იმყოფებიან.**

მახსოვს, მსგავსი შინაარსის წერილი შევარდნაძესა და მოქალაქეთა კავშირის მიმართებითაც დავწერე მაშინ, როცა მრავალთა მსგავსად მოხიბლული ვიყავი მიხეილ სააკაშვილის რეფორმატორობით. იმედით შევყურებდი მას და მის ახალგაზრდა პროტესტანტების გუნდს, რადგანაც გულწრფელად მჯეროდა მათი ამბიციების სიჯანსაღისა და იმისაც, რომ შევარდნაძის რეჟიმზე უარესი რაღა უნდა ყოფილიყო! და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს იგივე პათოსით მიხდება საუბარი მიშას ნაცმოძრაობაზე, რადგან მისი დემოკრატობა, ფიცი და მტკიცი, წმინდა წყლის პოპულიზმი ჯერ არნახული ბოროტება აღმოჩნდა.

არადა, დღემდე ვერ გამიგია, ვერაფრით ამიხსნია ის, თუ რაში დასჭირდა, რატომ ჩაიდინა არნახული პოპულარობის მქონე ხალხის სიყვარულით და ნდობით გაპრეზიდენტებულმა მიშამ ის, რაც ჩაიდინა. რა იყო ეს ყველაფერი, ტრაგიკული შეცდომების გალა თუ წინასწარგანზრახული ბოროტება? თუმცა ამას ახლა აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა. ამაზე საუბარი და მარჩიელობა პოლიტიკური ლირიკაა, მდგომარეობა კი პროზაული და, აქედან გამომდინარე, უაღრესად კრიზისულია. ორი სიტყვით, დღევანდელი ვითარების ფორმირება ასე მესახება:

### ადეკვატური საზოგადოება და რადიკალი ძალაუფლება

დიახ, ბატონებო! ძალაუფლება და არა ხელისუფლება, რადგან იმ 7 ნოემბრის, განსაკუთრებით შარშანდელი აგვისტოს შემდეგ საქართველოს ხელისუფლება აღარ ჰყავს. არის მხოლოდ უხეში ძალის უფლება. აქედან გამომდინარე, არავითარი ოპოზიცია-ხელისუფლების დაპირისპირება არ არსებობს ამის კლასიკური გაგებით. ერთ მხარეს არის ღირსებაშელახული, სულში ჩაფურთხებული საზოგადოება და მეორე მხრივ — სააკაშვილის ძალაუფლება. და თუ ვინმეა რადიკალური, პირველ რიგში მიშას ძალაუფლება და არა ოპოზიცია.

ოპოზიცია მხოლოდ ამ აღშფოთებული საზოგადოების მარეგულირებელი ინსტრუმენტია, რათა ეს აღშფოთება უკონტროლო, ყოვლისწამლეკავ ქარიშხლად არ გადაიქცეს. რას აკეთებს ძალაუფლება ამის საპირისპიროდ? 9 აპრილამდე ფარული გადალებები იარაღის თემაზე, რამაც უკუეფექტი იქონია, 9 აპრილის შემდეგ წვრილ-წვრილი ყოველდღიური პროვოკაციები და...

გეოლოგი გამიგია, პოლიტოლოგიაც, თქვენ წარმოიდგინეთ, კატალოგიც ვიცი რა არის, აი, ეს „დიალოგი“ რა ხილია, რუსები როგორც იტყვიან — „„С чем это эдят“, ვერ ვხვდები. იმდენად განიცადა ამ სიტყვამ დევალვაცია, რომ აღარ შეიძლება ამის ატანა. ისევე როგორც დიალოგის თემების: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, კონსტიტუციური რეფორმები და ე. წ. დასაქმება, რის გაგონებაზეც, უკაცრავად და, პირსაქმე მემართება.

ამ ბოლო დროს ძალაუფლებამ თამასის ნელ-ნელა ზევით აწევა დაიწყო: გიგი უგულავამ 2010-ში ქალაქის მერის პირდაპირი არჩევნებიო, დავით ბაქრაძემ კი — კოალიციური მთავრობაო. აი, ეს არის სწორედ ცუგცვანგი. ნაცების მდგომარეობა ყოველ ახალ სვლასთან ერთად უარესდება, რადგან საზოგადოება ოპოზიციასთან ერთად უფრო მტკიცედ დგას ერთადერთ მოთხოვნაზე — გადადგეს სააკაშვილი.



ამ ყველაფერს, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთის დასხმასავით ამძაფრებს ტელევიზიებში ისეთი ხალხის ხშირი გამოჩენა, როგორებიც ნუგზარ წიკლაური და ეკა ხერხეულიძეა, რადგან სწორედ ასეთმა ოდიოზებმა განაპირობეს ის ტოტალური ზიზღი ნაცების მიმართ, რაც წლების მანძილზე გროვდებოდა და დღეს სახიფათო ზღვარს მიუახლოვდა. ეკასთან შედარებით მაია ნადირაძე უცოდველ, ღუღუნა მტრედს ჰგავს.

### ჭადრაკი ინტელექტუალების თამაშია

**ანუ იმათ, ვისი აშკარა ნაკლებობაა ნაცებში. ეს რომ ასე არ იყოს, ცუგცვანგიც ეცოდინებოდათ რა არის და ისიც, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ დროს.**

ცუგცვანგის შემთხვევაში საკუთარი თავის პატივისმცემელი მოჭადრაკე საათს აჩერებს, ანუ ნებდება მოწინააღმდეგეს, რადგან წაგების დროზე აღიარებაც ვაჟკაცობაა, და მეორე — წაგებული პარტიის იქამდე გაგრძელება, სანამ დაგაშამათებენ, მოწინააღმდეგისთვის სიამოვნების მინიჭებას, „კაიფსაც“ ნიშნავს.

ძალაუფლების მოწინააღმდეგე ქუჩებში გამოსული ათიათასობით ადამიანია. ნაცების მოლოდინი და იმედი — ხალხი დაიღლება, მობეზრდება, აქციები თავისით ჩაცხრებაო, როგორც ჩანს, არ მართლდება. უფრო პირიქით — ცუგცვანგში მყოფი ძალაუფლების ყოველი სვლა მხოლოდ აახლოვებს და აშკარას ხდის საზოგადოების გამარჯვებას. ხალხი არ იღლება და „კაიფით“ ელოდება მიშას კაპიტულაციას.

თუ ნაცები მიხვდებიან ჭადრაკის ცუგცვანგის ფილოსოფიას, ხომ კარგი. თუ არა და, თუ მათი ინტელექტი „შაშკს“ ვერ სცილდება — „შაშკი“ შაშკინს ეთამაშონ და უფრო მალე თუ არა, უფრო მტკივნეულად გავლენ „დამკაში“.

**დავით მხეიძე**

**P. S. „ეს რა გვიყვეს, ჰა?!“ — უნებურად მახსენდება გაბაწრული ვირთხა ბატონის ბოლო ფრაზა მულტფილმიდან „წუნა და წრუწუნა“: მართლაც ეს რა უყო ამათ „უცნობმა“ №5 საკნიდან. თბილისის ქუჩები საკნებითა და კარვებით მოიფინა. ამბობენ, მიშა გიჟსა ჰგავსო (თუმცა რატომ მხოლოდ ჰგავს?) — ეს რა მივქარე, „მაესტრო“ რამ მიმაცემინა, ეს რა იაღლიში მომივიდაო.**

**ახლა ძალაუფლება დილემის წინაშეა — დავარბიო თუ არ დავარბიო? არ დავარბევ? — მერხევა! დავარბევ? — უფრო სწრაფად დამერხევა! ერთი სიტყვით, ჰამლეტის ყოფნა-არყოფნისა არ იყოს, პერიფრაზით ასე იქნება — ადრე თუ გვიან?**

**დ. მ.**

◎ ინფორმაცია

## ჰილარი კლინტონი ჩვენთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზებს ეძებს

**ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე.**

როგორც შეხვედრისას ჰილარი კლინტონმა განაცხადა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნისთვის ძალიან რთულ დროს იმყოფება.

მისივე თქმით, საუბარი შეეხო თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ამერიკის ძლიერ მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების მიმართ.

ჩვენ ვეძებთ გზებს, რათა ჩვენი თანამშრომლობა და პარტნიორობა უფრო გაფართოვდეს და გაღრმავდეს, — დასძინა კლინტონმა.

## საქართველოს ოკუპაცია დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს

**საქართველოს ოკუპაცია დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს — აღნიშნული განცხადება აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გრიგოლ ვაშაძესთან გამართული შეხვედრის ფარგლებში გააკეთა.**

მისივე განმარტებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი იქნება ის თემა, რომელიც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან სამომავალოდ დაგეგმილი ყველა შეხვედრის დღის წესრიგში მოხვდება.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ აქტუალური ინტერვიუ



**გვესაუბრება პოლიტოლოგი ზურაბ აბაშიძე**

# აუცილებელია სერიოზული ცვლილებები და რეფორმები

**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომლის მონაწილეები დიალოგზე წასვლას არ თანხმდებიან?**

— ჯერ მოგახსენებთ იმის შესახებ, რომ, ჩემი აზრით, უცხოეთიდან ეს ყველაფერი ნორმალურად ჩანს. იმიჯის თვალსაზრისით საქართველომ საკმაოდ მოიგო. მსოფლიოში დღეს დაძაბულობითა და ძალადობით, სამწუხაროდ, ვერავის გააკვირვებ: მოლდოვა, ტაილანდი, აღარაფერს ვამბობ ავღანეთსა და სხვა „ტრადიციულ“ ცხელ წერტილებზე. ამ ფონზე საქართველოში მშვიდობიანი საპროტესტო აქციების შესახებ ინფორმაციები საკმაოდ ნორმალურად მოჩანს. ეს აშკარად პოზიტიური ელემენტია. თუ ყველაფერი ასე დამთავრდა და პოლიტიკური გამოსავალიც ვიპოვეთ, ეს ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს დაღვინებული საზოგადოების ნიშანია. ძალიან მეშინია, რომ ყველაფერი წყალში არ ჩავყაროთ.

ახლა მთავარი ამოცანაა, ამ კრიზისიდან საქართველო წინგადადგმული ნაბიჯით გამოვიდეს. აუცილებელი არ არის, ეს იყოს გიგანტური ნაბიჯი. ერთი ნაბიჯიც თუ იქნება გადადგმული წინ, ჩემი აზრით, ეს უკვე ძალიან კარგი იქნება.

**— შეურიგებელი მხარეებისთვის წინგადადგმულ ნაბიჯად სხვადასხვაგვარი რამ მიიჩნევა...**

— ბუნებრივია, რომ მხარეები წინგადადგმულ ნაბიჯს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ამ დღეებში „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი“ პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა. ჯერ კიდევ 9 აპრილამდე ჩვენმა კლუბმა გააკეთა განცხადება, რომ ვგმობთ ძალადობასა და მის ნებისმიერ გამოვლინებას, როგორც ხელისუფლების შესანარჩუნებლად, ისე ხელისუფლებაში მოსასვლელად. ჩვენ მაშინ დავადასტურეთ მზადყოფნა, რომ თუ იქნება ხელისუფლებისა და ოპოზიციის სურვილი, ამ საკითხზე ორივე მხარესთან ვიშუამდგომლოთ, რათა მანიფესტაციების დროს თავიდან ავიცილოთ ძალადობა. ჩვენს კლუბში 12 კაცია და განსაკუთრებულ ძალას არ წარმოვადგენთ, მაგრამ გარკვეული ინტელექტუალური ბირთვი არის შეკრებილი.

ბატონ ბაქრაძესთან ჩვენი შეხვედრა უმთავრესად ამ საკითხს მიეძღვნა. მე მგონი, სასარგებლო შეხვედრა იყო. უმთავრესად ძალადობის გამოვლინების ფაქტებზე ვისაუბრეთ, რომლის ადრესატი, უპირველესად, ხელისუფლება იყო. ჩვენ ჩამოვთვალეთ ახალგაზრდების ცემის ფაქტები, 11 აპრილს აპარატურის დამტვრევის ინციდენტი, ქალაქში შემოსასვლელებისა და გასასვლელების კონტროლი, გადაადგილების შეზღუდვა და ბევრი სხვა ფაქტი. ამაზე საპასუხო ინფორმაცია ნაწილობრივ მივიღეთ.

საუბარი იყო, ასევე, პოლიტიკური გამოსავლის ძიებაზეც. კლუბში ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ხედვაა, შეხვედრაზე ყველამ თავისი პოზიცია ჩამოაყალიბა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საერთო აზრი ასეთია — ოპოზიციისთვის ხელისუფლების მიერ გაკეთებული შეთავაზება აშკარად არასაკმარისი და არაადეკვატურია.

შეთავაზება უნდა იყოს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, რეალისტური, იმ რთული ვითარებიდან გამომდინარე, რაც ქვეყანაშია შექმნილი.

**— თქვენი აზრით, მაინც როგორი შეიძლება იყოს ხელისუფლების წინადადებები?**

— მე ჩამოვაყალიბე ჩემი ხედვა. კერძოდ, ბატონ ბაქრაძეს ვუთხარი: მე რომ ხელისუფლების ადგილას ვიყო, ოპოზიციას წინადადებების პაკეტს შევთავაზებდი. მაგალითად, თქვენ სთავაზობთ ოპოზიციას დიალოგის დაწყებას, კონსტიტუციური ცვლილებებსა და ხელისუფლების შტოებს შორის პოლიტიკური სისტემის დაბალანსებას. ეს, ბუნებრივია, უნდა გულისხმობდეს პრეზიდენტის კომპეტენციების შეზღუდვას, შესაბამისად, პარლამენტისა და ქმთავრობის როლის გაძლიერებას. მაგრამ ამ წინადადებას, ჩემი აზრით, უნდა დაემატოს ვადამდელი არჩევნების საკითხის განხილვაც.

თვით მოლაპარაკების პროცესი არ უნდა იყოს სივრცეში უსასრულოდ გაწერილი, უნდა იყოს კონკრეტულად განსაზღვრული ვადა, ვთქვათ, პირველ ივნისამდე.

აუცილებლად უნდა მოხდეს საკადრო ცვლილებები აღმასრულებელ და სასამართლო სისტემაში, საარჩევნო ადმინისტრაციაში. გარკვეული პიროვნებების მიმართ საზოგადოებაში აშკარა მიუღებლობა და ალერგიაა. ასევე აქტუალურია ტელევიზიის პირველი არხის ხელმძღვანელობის საკითხი; გარდამავალი ეტაპისთვის უნდა შეიქმნას ეროვნული თანხმობის მთავრობა. არა კოალიციური, ანუ პარტიული პრინციპით, არამედ პროფესიონალიზმის პრინციპით შეერჩეული. და ბოლოს, მოლაპარაკების პროცესი უნდა წარიმართოს ევროკავშირის შუამავლობით. შეიძლება, ეს წინადადებები არც ხელისუფლებაში მოეწონოთ და არც ოპოზიციაში, მაგრამ ხომ შეიძლება ჩემი აზრი მქონდეს?

**— თქვენი აზრით, შეძლებს კი ხელისუფლება თავის თავში იპოვოს ძალა და დათანხმდეს ამ წინადადებების განხილვაზე, რომელზედაც თქვენ ახლა ისაუბრეთ?**



— ჩვენ ვუთხარით ბატონ ბაქრაძეს, რომ მისგან არ ველოდით ჩვენს წინადადებებზე მყისიერ პასუხს, ვინაიდან ჩამოთვლილი წინადადებები მარტო მისი გადასაწყვეტი არ არის. არ ვიცი, გაითვალისწინებენ თუ არა ჩვენს მოსაზრებებს. ხელისუფლების ლოგიკა ასეთია — არ შეიძლება ქუჩის აქციებში 30-50 ათასი კაცის მოთხოვნით ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, ვინაიდან ეს იქნება გაუთავებელი პროცესი და მუდმივი არასტაბილურობის ფაქტორი. ქვეყანამ ერთხელ მაინც სრულად უნდა გაიაროს დრო არჩევნებიდან არჩევნებამდე. ამაში თეორიულად ლოგიკა არის, მაგრამ, რეალურად, ბევრი ფაქტორის გამო, ჩვენ ახლა იმდენად არაორდინალურ ვითარებაში ვიმყოფებით, რომ თუ პოლიტიკური სისტემა არ დაბალანსდა, მწვავე პრობლემები არ მოიხსნა და დაძაბულობა არ განიმუხტა, შეიძლება, ნებისმიერმა გაუთვალისწინებელმა ფორსმაჟორმა ქვეყანაში დიდი არეულობა და დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

ამიტომ, სერიოზული ცვლილებები და რეფორმები აუცილებელია. ამ ცვლილებას ელიან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთაც. ახლა მარტო მშვიდობიანი დემონსტრაციებით კარგი იმიჯის დატოვება საკმარისი არ არის. ამას უნდა მივაყოლოთ შეთანხმების რაღაც პროცესი, რომელიც ქვეყანას ნამდვილად წინ წაწევს.

**— პროცესის ნორმალურ კალაპოტში მოქცევას ხომ არ უშლის ხელს, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მაქსიმალიზმი?**

— ნებისმიერი დაპირისპირება ადრე თუ გვიან მოლაპარაკებით მთავრდება. ჩვენ, ალბათ, რამდენიმე დღეში ოპოზიციურ ძალებთანაც გვექნება შეხვედრა და ამ საკითხებზე ვისაუბრებთ.

**კობა ბენდელიანი**

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ კერძო აზრი

# კვლავ ვირტუალურისა და რეალურის შესახებ

***ოპოზიცია და, საუბედუროდ, ჩვენი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობა ცხოვრობს ვირტუალურ სამყაროში. ჩანს, არა მარტო ხელისუფლება, ოპოზიციონერებიც არ კითხულობენ გაზეთებს, თორემ მათ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 3 მარტის ნომერი რომ გადაეფურცლათ, იქ ნახავდნენ ბატონ ომარ ხახაშვილის ბრწყინვალე სტატიას და თუ წაიკითხავდნენ, გაერკვეოდნენ, რა არის ვირტუალური, რა არის რეალური და რა სხვაობაა მათ შორის. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა და ოპოზიციაც ისე მსჯელობენ და მოქმედებენ, თითქოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ და არა კოლონიაში, რომელიც გარედან იმართება. ამაშია ჩვენი ტრაგედია.***

ოპოზიციონერების მცდელობა, აპრილის აქციებით გადააყენონ სააკაშვილი, თუ ეს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობასთან არ არის შეთანხმებული, გაუგებარია. ეს ნიშნავს, რომ ოპოზიცია ებრძვის სააკაშვილს და აზრადაც არ მოსდის, რომ ებრძვის მსოფლიოს „სუპერდერჟავას“ — ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს საოცარია, მაგრამ ფაქტია. არ შეიძლება მათ არ იცოდნენ, რომ მიშას გადაყენებას არც ოპოზიცია წყვეტს, არც ქართველი ხალხი და არც თვითონ სააკაშვილი. ოპოზიციას მრავალი მაგალითი ჰქონდა, დარწმუნებულიყო, რომ ეს ასეა. შესაძლოა ოპოზიცია ვაშინგტონთან შეთანხმებულ თამაშს თამაშობს. ოპოზიციის ხელმძღვანელები ხომ საქართველოში აშშ-ს ელჩის ხშირი სტუმრები არიან და მასთან ათანხმებენ თავიანთ ყველა მოქმედებას. ვაშინგტონი ალბათ ოპოზიციისაგან მოითხოვს აჩვენოს, რა ძალა აქვს, რამდენ ხალხს გამოიყვანს მიშას გადაყენების მოთხოვნით და, რაც მთავარია, შესთავაზებს მიშას შემცვლელის კანდიდატურას და მისი არჩევის გარანტიას, რომელიც იქნება საქართველოში აშშ-ს ინტერესების კიდევ უფრო თანამიმდევრულად გამტარებელი და შემდეგ გადაწყვეტს მიშას გაშვების საკითხს.

ამჟამად კი ისე ჩანს, ვაშინგტონი ჯერ არ აპირებს მიშას გაშვებას. თუმცა კი აშშ-ს სახდეპის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ეიკერმა 11 აპრილს განაცხადა, ოპოზიციის მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ საქართველოს საშინაო საქმეაო და ბევრმა ეს აშშ-ს მიერ სააკაშვილისადმი მხარდაჭერაზე უარის თქმად მიიღო. აშშ-ის ხელისუფლებამ საკუთარ ქვეყანაში ულრმესი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში საქართველოს გამოუყო მილიარდი დოლარის დახმარება და მისგან უკვე მიმდინარე წელს საქართველო მიიღებს 350 მილიონს და იფიქრო, რომ მას არ აინტერესებდეს თავის კოლონიაში — საქართველოში რა ხდება, ვინ იქნება ქვეყანაში კოლონიური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფანტაზიის სფეროდანაა. ეს ნათლად გამოჩნდა ეიკერის იმავე განცხადებაში, ოპოზიციის პროტესტი საქართველოს დედაქალაქში მშვიდობიან ხასიათს ატარებს და სახელმწიფო დეპარტამენტს განზრახვა არ აქვს, ჩაერიოს ქვეყნის საშინაო საქმეებშიო. ნათლადაა ნათქვამი, რომ თუ პროტესტს არ ექნებოდა მშვიდობიანი ხასიათი, იგი ჩაერევა.

ამაზევე მეტყველებდა 9 აპრილის მოახლოებასთან ერთად ჩვენი უშუალო მმართველის ბრაიზას გახშირებული სტუმრობა საქართველოში. მან ოპოზიციას ამცნო: საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება 2013 წელს, ისე, როგორც არის დანიშნულიო. ოპოზიციას უკმაყოფილება რომ შეატყო, უთხრა: თქვენ შეგიძლიათ იჭიჭყინოთ, იფაფხუროთ, თქვენ „დემოკრატიულ“ ქვეყანაში ცხოვრობთ და ამის უფლება გაქვთ, ხოლო პრეზიდენტის არჩევა ხალხის ნებააო.



იხ. 4 გვ.

კერძო აზრი

(მესამე გვერდიდან)

# კვლავ ვირტუალურისა და რეალურის შესახებ

იგულისხმა, რომ ხალხის მიერ იგი უკვე არჩეულია და მომავალი არჩევნები მაინც 2013 წელზე ადრე არ იქნებაო. ესე იგი, მან არ დაუჭირა მხარი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს. დღეს ესაა ვაშინგტონის პოზიცია.

ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონში წასულმა პარლამენტის წევრმა, „ოპოზიციონერმა“ გიორგი თარგამაძემ იქ „დაყნოსა“ სიტუაცია და 4 აპრილს ტელეარხით ვაშინგტონიდან პირდაპირ ეთერში გაგვაფრთხილა, ილუზია ნუ გექნებათ, რომ 9 აპრილს ვაშინგტონიდან ზარი იქნება სააკაშვილის გადადგომის მხარდასაჭერადო. ეს კვლავ იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონი ჯერ არ ფიქრობს მიშას გაშვებას. ჩანს, ობამამ ლონდონში მედვედევს უთხრა, მიშას საკითხში ცოტა მაცალეო და მედვედევმაც ამიტომ მხოლოდ მინიშნება გააკეთა, საქართველოს ახალი ხელისუფლება რომ ეყოლება, იმას დაველაპარაკებიო.

ოპოზიცია ჩქარობს, აქტიურობს, იმუქრება, რომ ეს არის მისი საბოლოო და გადამწყვეტი ბრძოლა ცარიელი სუფთა ხელებით და რომ მას დაამთავრებს ამ ხელისუფლების წასვლით. ამავე დროს იგი იმასაც ამბობს, რომ ახსოვს 7 ნოემბერი. მათ აქვთ კიდევ უკანასკნელი ორი საარჩევნო „ომის“ გამოცდილება: გასული წლის 5 იანვარს და 21 მაისს. იმასაც აცხადებენ, რომ ის ომები არ წაუგიათ, რომ მაშინ ხალხს არ აურჩევია არც პრეზიდენტი და არც დღევანდელი პარლამენტი, მიშა დანიშნა და ლეგიტიმაცია გაუკეთა ჩვენმა პატრონმა ამერიკის შეერთებულ შტატებმა და მისმა სატელიტმა ევროპამო. მაშ ახლა რისი იმედი აქვთ? ოპოზიციამ მიშასა და პარლამენტის ლეგიტიმაციამდე ვერაფერი გაახერხა და ახლა დაამარცხებს ამერიკას?

ოპოზიციასთან შეხვედრის შემდეგ ბრაიზამ შემდეგი სიბრძნე გადმოაფრქვია: ყველას აქვს უფლება, გამოხატოს პროტესტი მშვიდობიანი, თავისუფალი გზით, მაგრამ აშშ-ს იმედი აქვს, რომ ოპოზიციის აქცია საქართველოში ჩაივლის მშვიდობიანად და არავითარი ძალადობა არ იქნება. ეს დემოკრატიული გზაა, მაგრამ ძალადობის აცილება აუცილებელიაო. და რომ არავინ არ იფიქროს, რა შუაშია ბრაიზა იმასთან დაკავშირებით, თუ ჩვენ ჩვენს „დამოუკიდებელ“ საქართველოში როგორ ჩავატარებთ აქციებს, მან დაუმატა: აშშ არ ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, მაგრამ ჩვენ დაინტერესებული ვართ დემოკრატიული პროცესების განვითარებით თქვენს ქვეყანაშიო. არავინ არ უთხრა მას, თქვენი ამჟამად აქ ყოფნა და თქვენი ეს განცხადებები არის სწორედ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაო.



ბრაიზა და მისნაირები რომ „დამოუკიდებელი“ საქართველოს მმართველად გვეყოლება, ამაზე დიდი დამცირება და შეურაცხყოფა რა შეიძლება იყოს. ნორმალურ ქვეყანაში ნორმალური ხელისუფლება მაგისთანებს ქვეყანაში არ შემოუშვებდა. მაგრამ სადღა გვაქვს ეროვნული თავმოყვარეობა და ღირსების გრძნობა? ორივე დავკარგეთ პოლიტიკოსების ღალატით.

სხვა შემთხვევაში ოპოზიციას, თუ ნამდვილად ფიქრობს ქვეყნის ბედზე, ბრაიზასათვის უნდა ეთქვა: თქვენ, ჩვენო „მეგობარო“, რუსეთს გადაგვკიდეთ, მასთან ომში ჩაგვაბით და წაგვაგებინეთ, ახალგაზრდები დაგვიხოცეთ, დევნილები მოგვიმრავლეთ, ტერიტორიები დაგვაკარგინეთ და ყოველივე ამის შემდეგ საერთოდ როგორ ბედავთ აქ ჩამოსვლას და ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევას, ვინ გკითხავთ თქვენ ჩვენ როდის დავნიშნავთ პრეზიდენტის არჩევნებს აქ, ჩვენს დამოუკიდებელ საქართველოში. შენ საერთოდ ვინა ხარ? ვაშინგტონთან „სტრატეგიული მეგობრობა“ გასულ ზაფხულში სრულად შევიგრძენით და თქვენ არავითარი მორალური უფლება აღარ გაქვთ რაიმე რჩევა მოგვცეთ, საიდანაც მობრძანდით, იქითვე წაბრძანდითო.

საქართველოს მოქალაქენი, რომლებიც ყოველთვის უყურებენ ტელეეკრანზე თუ ჩვენი ოპოზიცია როგორ ღელავს მეტროპოლიიდან (ვაშინგტონიდან) ნებისმიერი მოხელის ჩამოსვლისას, როგორ მწკრივად მიადგებიან სასტუმროს კარს, ამ ჩინოვნიკების სამყოფელს და მორჩილად ელიან თავიანთი მიღების რიგს, ცხადია, იტყვიან, ჩვენი ოპოზიციონერები ასეთი გულადები არასოდეს არ ყოფილან და ვერც იქნებიან, რომ ასეთი რამე უთხრანო ბრაიზას.

ამერიკის შეერთებული შტატები, ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე“ დაგვეხმარა (მოსახლეობის გადასახადების ხარჯზე), მისგან აღებული გადასახადებით არმიის მომზადებაში, რომლის საბრძოლო უნარის, ისევე როგორც რუსეთის არმიის საბრძოლო შესაძლებლობების შესწავლისათვის (რაც ძალიან აინტერესებდა აშშ-ს სამხედრო სარდლობას), აგრეთვე რუსეთის ხელისუფალთა სახელის გასატეხად მთელს მსოფლიოში, 2008 წლის აგვისტოში ომი დაგვაწყებინა სამხრეთ ოსეთში. ორი საუკუნის მანძილზე ერთ ჭერქვეშ ნაცხოვრები ხალხები დაგვაჯახა და მართლაც ბევრი რამ გაიგო რუსი და ქართველი ახალგაზრდების სისხლის ღვრის ფასად. თვითონ ხომ თითიც არ გაანძრია ჩვენს დასახმარებლად და ჩვენს გასაშველებლად გამზადებულ სარკოზისაც ურჩევდა, არ ჩაერიო, შენი საქმე არააო.

თუ ვინმე შეეცდება გაამართლოს აშშ და ყველაფერი სააკაშვილს გადააბრალოს, მას ვეტყვი შემდეგს. ჯერ კიდევ 1996 წელს კერძო საუბარში შევარდნაძე წუწუნებდა ამერიკელებზე: „ესენი ვინ ყოფილან, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ მათთან შეუთანხმებლადო“. მით უფრო მიშა არ დაიწყებდა და ვერც დაიწყებდა ომს აშშ-ს ნებართვის გარეშე. მან ერთადერთხელ გადადგა დამოუკიდებლად ნაბიჯი, როცა ოქრუაშვილი დააპატიმრა და მისი ეს მოქმედება იმდენად გაუგონარი და დაუჯერებელი იყო რომ, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, დიპლომატმა ტეფტმა თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა განაცხადა, ოქრუაშვილის დაპატიმრება ჩვენთან არ იყო შეთანხმებულიო.

ასე რომ, მიშა არ გადადგება, თუნდაც მუდმივი აქციები გამოაცხადოს ოპოზიციამ, მანამ სანამ ჩვენი პატრონი არ ეტყვის, გადადექი და დანიშნე პრეზიდენტის არჩევნებიო.

ხოლო თუ ოპოზიცია დიდხანს გააგრძელებს კონსტიტუციით ნებადართულ აქციებს, მით უფრო თუ დაიწყებს სახელმწიფო დაწესებულებათა ბლოკირებას, ჩვენი პატრონი, ისვე როგორც 7 ნოემბერს, მითითებას მისცემს ჩვენს ხელისუფლებას, გამოიყენოს ასევე კონსტიტუციით დაშვებული საშუალებები ბლოკირების მოხსნისათვის. ეს შეიძლება იყოს ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები, ხელკეტები და სხვა ყველაფერი, რითაც „გვასიამოვნა“ ხელისუფლებამ 7 ნოემბერს. დაგვიმტკიცებენ, რომ ჩვენ „შემდგარი სახელმწიფო“ ვართ, რომელთანაც ხუმრობა არ შეიძლებაო. ვფიქრობ ვაშინგტონში ბრძანება № 2 „7 ნოემბერი“ უკვე დაწერილია და გამოქვეყნდება, როცა პატრონი სიტუაციას ჩათვლის კრიტიკულად და კოლონიის ადმინისტრაციაც ვალდებული იქნება „ექსტრემიზმისათვის“ დაარბიოს აქციები.

საქართველოს გადარჩენა ამერიკა-რუსეთის დაპირისპირების სფეროდან მის გამოყვანაშია, მისი ვირტუალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შეცვლაშია რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით, მის ნეიტრალიტეტშია. დღეს კი სააკაშვილის გადაყენებისათვის მებრძოლნი კვლავ „ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“, ნატოში საქართველოს შესვლაზე ლაპარაკობენ და ამ იდეებით ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, საქართველოს ნგრევა გაგრძელდება. ამაშია ჩვენი ქვეყნის ტრაგედია.

**ვალერიან ადვაძე**

მწარე რეალობა

# მთავრობას ქამრის მოჭერა დაავიწყდა!

**იმათგან, ვინც ამას წინათ ტელეეკრანით თვალი ჰკიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუმრად მყოფ კახა ბენდუქიძეს, ბევრმა გაიკვირვა: ისეთს რას უნდა აეძულებინა ასეთი მასშტაბური ეკონომიკური წონის ფიგურა (თუმცა საქართველოში უკვე პორტფელდაკარგული), რომ მყისიერად ამჩატებულიყო და ოკეანის გადაღმა გადაეცურა? რას გაიგებ კაცის გულის ხვაშიადს, თანაც ისეთისას, როგორიც ჩვენი სიტყვაძუნწი და ჩაკურატებული ბენდუქიძეა.**

მისი სტუმრობა ამერიკაში ზუსტად დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ამ ჩვენს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაში პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იმყოფებოდა ვიზიტად. ჰოდა, ბევრმა იფიქრა, ეს ჩვენი ახალგაზრდა სპიკერი არცთუ ისე გაწაფულია ეკონომიკაში და ნამინისტრალს მრჩევლად წაიყვანდაო. ზოგმა უფრო შორს შეტოპა და ბენდუქიძე ამერიკის გლობალური კრიზისიდან თავდახსნის ტალკვესად წარმოიდგინა.

ნეტარ არიან მორწმუნენი! მე ვერც ერთ მხარეს შევედავები და ვერც მეორეს. ეს ამბავი უბრალოდ იმასთან დაკავშირებით გამახსენდა, ამერიკიდან დაბრუნებული ბენდუქიძე „რუსთავი-2“-ის პროგრამა „ბიზნესკურიერის“ წამყვანთან „ხელჩართულ ომში“ რომ ვიხილე.

– ბატონო კახა, თქვენი აზრით, მთავრობის რა შეცდომებმა განაპირობა ხალხის ასეთი მძლავრი საპროტესტო ტალღის აგორება? – იკითხა აკაკი გოგიჩაიშვილმა.

– რატომ შეცდომებმა, შეიცხადა ნამინისტრალმა, – ხომ შეიძლება ადამიანთა პროტესტი სასიკეთო საქმეებმაც გამოიწვიოს?

– ვერ მიგიხვდით.

– სულაც არ არის ძნელი მისახვედრი. აი, მაგალითად, ჩვენ რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით რეფორმა ჩავატარეთ, როგორ გგონიათ, იმით ყველა კმაყოფილი დარჩა? რა თქმა უნდა, არა. უდავოდ კარგი საქმე გაკეთდა საპატრულო პოლიციის შექმნით, მაგრამ უმუშევრად დარჩა ათასობით საგზაო პოლიციის მუშაკი, რომლებიც ახლა ხელისუფლებას საპროტესტო აქციებს უწყობენ. მსგავსი სურათია სხვა სფეროებშიც. ასეა, ყველა წარმატებას თან წარუმატებლობაც ახლავს, – დასძინა ბენდუქიძემ.

– კორუფცია?

– სადღაა კორუფცია! თქვენ, ეტყობა, შევარდნაძის პერიოდი გახსოვთ. მახსოვს, კორუფცია რომ ავლაგმეთ, სწორედ მაგან გაგვიჩინა მოწინააღმდეგენი. აბა, შეიხედეთ, რამდენი ათასი კაცია მაგისთვის შემწყვდეული ციხეებში.

შენიშვნა: მიხეილ სააკაშვილიც ხომ იგივეს ლაპარაკობდა ამ ორიოდე დღის წინათ „ნიუსკვიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში: „კორუფციასთან და კრიმინალთან ბრძოლისას, ამბობს პრეზიდენტი, ათასობით მოქალაქე ციხეში გავუშვით. მხოლოდ თბილისში 8 ათას კაცს მივუსაჯეთ პატიმრობა. ყველა მათი ნათესავი ახლა ქუჩაშია და ჩემს გადადგომას ითხოვს“.

რომელია ამ ორთაგან „მასწავლებელი“ და რომელი „მოსწავლე“, ამის გარკვევა მკითხველისთვის მიგვინდვია, რაც შეეხება გოგიჩაიშვილს, ის როგორც ჟურნალისტი, მოვალე იყო ეკითხა: ბატონო კახა, განა ვინც ქუჩის აქციაზე დგას, იმათგან ყველა უმუშევარი ან პატიმრის ახლობელია? რა პასუხს აძლევ იმათ, ვინც საქართველოს ტერიტორიების დაკარგვას, უსამართლო და ღირსების დამთრგუნავი რეჟიმის შექმნას აპროტესტებს? ეს არ უკითხავს, ისე შეშმუშვნით კი შეიშმუშნა.

– გამოდის, რომ მთავრობას შეცდომები არ დაუშვია? – ამოღერღა ბოლოს.

– ყველა მთავრობა, რომელიც მუშაობს, შეცდომებსაც უშვებს, – წაისიბრძნა ბენდუქიძემ, – აბა, წლების მანძილზე უშეცდომოდ ხომ არ ვივლიდით?

– კონკრეტულად, რომელ შეცდომას გულისხმობთ?

– აი თუნდაც იმას, გადასახადები პირველ წელსვე ერთბაშად რომ არ შევამცირეთ. ასე რომ მოვქცეულიყავით, ეკონომიკა ქვეყანაში უფრო სწრაფად გაიზრდებოდა. ინფლაციაც თავიდანვე უნდა აგველაგმა და ქამრებიც ადრევე მოგვეჭირა და არა ბოლოს.

ხედავთ, რამხელა სიბრძნე გადმოაფრქვია? განა ვინმე იფიქრებდა, რომ მინისტრის რბილ სავარძელში მჯდომი ეს ჭკუითა და ხორცით გატენილი კაცი, ასეთ უბრალო შეცდომებს დაუშვებდა? კიდევ კარგი, ადგილ-მამული არ გაგვიყიდა, ეკონომიკა არ გაგვიბახა და სამთავრობო (ელიტარული) კორუფციაც ხელუხლებლად შეინარჩუნა, თორემ ხომ მთლად დავილუპებოდით. რაც შეეხება ქამრის მოჭერილობას, მაგაზე ვინ დაემდურება, წელი მაგას არ ეტყობა და მუცელი და რაზე მოიჭერდა (?!).

მომჭირნედ და ნამუსიანად მუშაობენ ჩვენი კანონშემოქმედნიც, რაც უპირველესად ფინანსებში აისახება. ზეპირად კი არ ვლაპარაკობ, აგერ არ არის ციფრები? თუ 2005 წელს პარლამენტის დაფინანსებაზე 22,6 მილიონი ლარი დაიხარჯა (აქედან ხელფასებზე 10 მილიონი ლარი), 2008 წელს მთლიანმა დაფინანსებამ 34 მილიონ ლარს მიაღწია (ხელფასმა 18 მილიონ ლარს). 2009 წელს პარლამენტის დაფინანსება კატასტროფულად გაიზარდა და 43 მილიონი ლარი შეადგინა. ამ თანხიდან 37 მილიონი ლარი უშუალოდ პარლამენტის წევრებისთვის და მათი დამხმარე პერსონალისთვისაა გამოყოფილი, ხოლო კაპიტალური ხარჯებისთვის 11 მილიონი ლარი, ეს მაშინ, როდესაც ამ თანხით ახალი პარლამენტიც კი აშენებდებოდა.

პარადოქსულად არ გეჩვენებათ? 2008 წლის მაისიდან პარლამენტართა რაოდენობა 235 კაციდან 150-მდე შემცირდა, პარლამენტის დაფინანსება კი 34 მილიონი ლარიდან 43 მილიონ ლარამდე გაიზარდა (!). არადა ყველას ახსოვს, პარლამენტის წევრთა რაოდენობას იმიტომ უფრო ამცირებდნენ, რომ ხარჯები შემცირებულიყო.

ყველაფერი ნათელია, ბენდუქიძემ და მისმა ძმაკაცებმა მთავრობიდან და პარლამენტიდან იმის გამო, რომ მხოლოდ მუცლები ჰქონდათ და ქამრები არა, საქართველოში ყველაფერი შესანსლეს, რაც კი ქვეყანას გააჩნდა, გარდა ელიტარული კორუფციისა. ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, ქუჩებსა და კარვებში მყოფი დემონსტრანტები შეახრამუნებენ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ახალი კონსტიტუციური ცვლა მოვა, ამას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდება, მაგრამ არცთუ ხანგრძლივი.

**ოთარ ხუციშვილი**

# VJRBHRBNT AJNJSDFKB



უკომენტაროდ


აბა, სულ ახალი სალეჟი ჰალსტუხები!


საკანს რად უნდა რკინის გისოსი!


შენ დაუკა, გამზრდელო!


„...რომელი საათია, რომელი საათია?“

ინფორმაცია

## კობა დავითაშვილი შსს-ის შენობის პიკეტირებით იმუქრება

„ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მომიტინგეთა ცემის შეწყვეტისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შსს-ის შენობის პიკეტირებით იმუქრება. ასე პასუხობს დავითაშვილი პრეზიდენტის რეზიდენციასთან მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც უცნობი პირები საპროტესტო აქციის სამ მონაწილეს დაესხნენ თავს და სასტიკად ცემეს.

— ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული თავდასხმა. ხელისუფლება ამგვარად ცდილობს საპროტესტო აქციების მონაწილეების საპასუხო აგრესიის გამოწვევას, თუმცა ჩვენ მყარი ნერვები გვაქვს და არც ერთ პროვოკაციას არ წამოვეგებით. მოვუწოდებ შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეწყვიტოს ამგვარი პროვოკაციები, თორემ ორ დღეში მოეწყობა შსს-ის შენობის პიკეტირებაც მოეწყობა, — განაცხადა დავითაშვილმა.

## აღდგომის დღესასწაულის შემდეგ მიტინგი რეგიონებში გადაინაცვლებს

აღდგომის დღესასწაულის შემდეგ ოპოზიცია მხარდამჭერების მობილიზებას საქართველოს რეგიონებშიც დაიწყებს.

ამის შესახებ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან გამართულ საინფორმაციო მიტინგზე „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა.

— აღდგომის შემდეგ ოპოზიცია დაიწყებს გასვლებს საქართველოს რეგიონებში და მხარდამჭერების მობილიზებას, რათა საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობა მთელმა საქართველომ შეძლოს, — განმარტა მან.

## გაუჩინარებულ მომიტინგეს კვლავ ეძებენ

9 აპრილს, მიტინგის შემდეგ გაუჩინარებულ 30 წლის მამაკაცს დღემდე ეძებენ. როგორც ნანა კაკაბაძემ განაცხადა, სოხაშვილის გაუჩინარების საქმეზე სამართალდამცავ ორგანოებს რამდენიმე დღის წინ აცნობეს, თუმცა მომხდარზე საქმე არ აღძრულა.

პოლიციაში გვითხრეს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ, რის გამოც საქმის გამოძიება არ დაწყებულა, — განაცხადა კაკაბაძემ.

მისივე განმარტებით, 30 წლის სოხაშვილი 9 აპრილს, დედაქალაქში გამართული აქციიდან დეიდასთან სტუმრად ავიდა, ისადილა, სახლიდან გამოვიდა და მას შემდეგ მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია უცნობია.

სოხაშვილი სოფელ წეროვანიდანაა. ის აქციაში მონაწილეობისთვის დედაქალაქში სპეციალურად ჩამოვიდა.

ХО-ЭИВ-ЭНИ

ჯემალ კასრაძის და ლევან ბოჭორიშვილის ფოტო


მოგილოცავს, ახალი პლედები მოუტანიათ!


მაგრამ მაინც ვიცინი და არ ვტირი


ერთი კარავშიაც მნახეთ, ვინა ვარ!


„თუ გინდა სითბო და ნუგეში“...


„ია პეშკომ იეხალ“...


„ის იქ არის“

გლობუსი

# მიტინგებიდან მიტინგებამდე

**ერთი კვირაა თბილისი მიტინგებითა და პიკეტებით ცხოვრობს. ერთი კვირაა საქართველოში მორიგი სახელისუფლებო ცვლილების სუნი ტრიალებს, ერთობ ნაცნობი, თითქმის მშობლიური. ერთი კვირაა ტელე-რადიო ეთერს ცნობილი ადამიანები, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები სტუმრობენ უკვე ტრადიციული მოწოდებებით დიალოგის დაწყების თაობაზე. გამომსვლელთა გარეგნობა სხვაა, თემა იგივე. 1989 წლის აპრილის დღეებში გამომსვლელ საზოგადო მოღვაწეთა დიდი ნაწილი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მათდა და დარჩენილთა სავალალოდ, ხელისუფლების წასვლა-დარჩენის საკითხი ძველებურად აქტუალურია.** მაშინ საბჭოთა კავშირი იყო, გამოცდილი სადამსჯელო მანქანით, დღესაც იგივეა, შესაძლოა უფრო დახვეწილიც, ამ თვალსაზრისით. თუ სხვაში ვერა, ამ დარგში ქვეყანამ უდიდეს წარმატებას მიაღწია, სპეცფორმაში გამოწყობილი, სპეცშეიარაღებით აღჭურვილი ქართველი „სამართალდამცველის“ სისასტიკე და დაუნდობლობა ფორას აძლევს საბჭოელ მილიციელს, რომლის სამოქალაქო პოზიცია კრიტიკულ მომენტში გაცილებით ჰუმანურად მოსჩანს დღევანდელი გადასახედიდან.

დღევანდელ და მაშინდელ გამომსვლელთა თემის იდენტურობა უკვე აღვნიშნე, მაგრამ წინადადებებიც იდენტურია, წყლის წვეთებივით მსგავსი. გამოსვლელთა დიდი ნაწილის სიტყვების ადრესატი ძირითადად ოპოზიციაა. მათი აზრით სწორედ მან უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. თითქოს ხელისუფლებაც მზადაა დიალოგისთვის, ოღონდ ამ ეტაპზე შაშკინის პირით, რაც წინასწარ უპერსპექტივობაზეა გათვლილი. **სახელისუფლებო მომლაპარაკებლის ინდიფერენტული, კმაყოფილი ჰაბისტუსი მხოლოდ ერთზე მეტყველებს — მურაბით თუ უმურაბოდ მიირთვას ჩაი. მაინც რა დონეზე უნდა გიყვარდეს ქვეყანა, რომ მსგავსი ხელისუფლებაში გყავდეს და მოლაპარაკებაც მას დაავალო, თუმცა არც სხვები ჩამორჩებიან, მაგალითად ვაშაძე-იაკობაშვილის ტანდემი. მიტინგებში გართულ მოსახლეობას უწინდებურად ჩაესმის მათი გამაფრთხილებელი განცხადებები — ძალიან არ შეტოპოთ, თორემ რუსეთი შემოიჭრებაო. შინაურებს უკვე მოშინაურებული გარეულიც დაემატა, აშშ-ს სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის სახით. გასულ კვირას ბატონმა ფადიმ რადიო „იმედში“ გამოსვლის დროს მსოფლიოში ჯერ არნახულ-გაგონილი რამ განაცხადა — აგვისტოს ომმა ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკის აღმავლობასო, რომ ომი ისე არ ვნებს ეკონომიკას, როგორც მიტინგებიო. ფადის და ეკონომიკის მინისტრის ჟვანიას მოსაზრება ემთხვევა ერთმანეთს, ისევე, როგორც ჩვენგან წასული ბრაიზასა და სააკაშვილისა.**

დიალოგის მოწოდება და ოპოზიციონერთა განწყობა დიამეტრალურად განსხვავებულია. ოპოზიციონერთა აზრით დიალოგი მხოლოდ ერთ საკითხზე შეიძლება — სააკაშვილის გადადგომაზე. ხელისუფალთა აზრით, ეს ულტიმატუმია. ისინი ვერ ეგუებიან მამა-მარჩენალის გადადგომის მოთხოვნას, ვინაიდან კონსტიტუციის დარღვევად მიიჩნევენ. რა ვუთხრათ იმათ, ვინც სააკაშვილს უჭერს მხარსო — ამბობენ ისინი. ასეთი განწყობა ჰქონოდათ 6 წლის წინანდელ ხელისუფალთ, ასეთი კატეგორიულები იყვნენ მაშინდელი ოპოზიციონერებიც, სააკაშვილის მეთაურობით. მათი მოთხოვნა იყო პრეზიდენტის გადადგომა და ახალი არჩევნების დანიშვნა. 2003 წლის რევოლუცია ყველას, მათ შორის მაშინდელ ოპოზიციას — დღევანდელ ხელისუფლებას კარგად უნდა ახსოვდეს, უნდა ახსოვდეს მოწოდებებიც — „საქართველო შევარდნაძის გარეშე“, მას არ უნდა გაუკვირდეს ლოზუნგის „საქართველო სააკაშვილის გარეშე“ რეანიმაცია. ძველის გამეორების, რეანიმაციის თავიდან ასაშორებლად, 2003 წელს მოსულებს, საკუთარი მმართველობის პირველსავე დღეებიდან, უნდა ეფიქრათ და ყველაფერი გაეკეთებინათ იმისთვის, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოსულიყო, დღევანდელ ხელისუფლებას თავის გასამართლებლად ხშირად უყვარს თქმა, მიტინგი დემოკრატიის მიმანიშნებელიაო, მაგრამ დამერწმუნებით ალბათ, გაცილებით დემოკრატიულია პარლამენტში, სახელისუფლებო დაწესებულებებში საკითხები მსუქნის სამსახურში ჩამდგარი მისი ხელის შემყურე, მისგან მოწყალების მომლოდინე, მშიერთა და დემოკრატიულად, კანონიერად გადაწყვეტა.

**სააკაშვილს ჰყავს მხარდამჭერები: საჯარო, სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავენი, მათი ოჯახის წევრები, ე. წ. ბიზნესმენები, ხელისუფლების მიერ დანიშნულ-გაზულუქებული, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაკები, ისეთნი, საიდანაც შაშკინი დაფრთიანდა. ერთი სიტყვით, ყველა დასაქმებული, ნათესავი და ახლოს მყოფი. ეს ის ნაწილია, ვინც სამუშაო დღეს რესტორნებში კლავს, სისტემატურად მოგზაურობს უცხოეთში შოპინგის და დროის სატარებლად, სკოლებში შვილებს დაცვითატარებს, უძვირფასესი შავი ჯიპებით და ასევე ძვირფასი ნომრებით — 777. ყველა მათგანს ცარიელი, ბრიყვული გამომეტყველება აქვს, ღიმილი დასთამაშებს ქონით გადავსებულ ფასადურ სახეზე. ეს ის კატეგორიაა, ვინც ენის არცოდნის მიუხედავად ცდილობს მშობლიურივით იხმაროს ამერიკული-ინგლისური. სააკაშვილმა ახალი კლასი ჩამოაყალიბა და ისე გაასუქა, კანში ვეღარ ეტევა. ამ კლასისთვის დანარჩენები არარაობაა, დამხმარე, მშიერი ძალაა. დაუსაქმებელთა რიცხვი გაცილებით აჭარბებს ახალ კლასს, ისე, როგორც ეს ხდება საქართველოზე მრავალი წლით ადრე გათავისუფლებულ ე. წ. მესამე ქვეყნებში, მაგალითად ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, სადაც ბატონობდა და ბატონობს ტრანსნაციონალური კომპანიები, სადაც ვაშინგტონი დღემდე იღვწის ამ ქვეყნების მოსახლეობის კეთილდღეობის „ამაღლებისათვის“. მათი მოგზაურობის დიაპაზონი გაცილებით მოკლეა — ბაზრობიდან, ბაზრობამდე, ისინი უხვად არიან ელიავას ბაზრობაზე, ვახუშტის ხიდთან, ყოფილი „დეზერტირების“ ბაზრის მიმდებარე ქუჩებზე, წვიმაში, ქარში, ყინვაში, თაკარა მზის გულზე, ტროტუარზე გაშლილი ბოსტნეულით, კვების პროდუქტებით, ნივთებით. ყველა მათგანს წაშლილი, გატანჯული სახე აქვს, დაძაბული, პოლიციის მორიგი დაწიოკების მოლოდინში.**

ამას წინათ, როდესაც პრეზიდენტი მიტინგების თემას შეეხო განაცხადა, რომ პროტესტანტთა მსგავსად ისიც გაბრაზებულია ქვეყანაში არსებული სიღარიბით, უმუშევრობით, გაუსაძლისი პირობებით. ბუნებრივად იბადება კითხვა — თუ ისიც გაბრაზებულია, ვინ არის დამნაშავე? ვინ მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე? დამნაშავე ვირტუალურია — ყველა. კონკრეტულად არავინ. პრეზიდენტის გუშინდელი ნათქვამის მიხედვით საქართველოში დიდი ეკონომიკური აღმავლობაა, ქვეყანა წინსვლა-აღმშენებლობაშია. რომელ ერთს დავუჯეროთ?

თავისუფალი, მაგრამ სხვაზე დამოკიდებული საქართველოს ცხოვრება წვალებით, წამებით, ტანჯვით დაიწყო. პოლიტიკოსთა ამბიციებს გადაყოლილი ქვეყნის მოსახლეობა ერთმანეთის ფიზიკური განადგურებით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე შენებით. თბილისისა და აფხაზეთის ომებმა, ცხინვალის დაპირისპირებამ, მხედრიონელთა თარეშმა, სხვა „სიკეთეებმა“ ქვეყანას გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა. **არეულ პერიოდში არც არავის უფიქრია ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე. ხელისუფლება, ხელისუფლებაში სამარადისო ყოფნისათვის ემზადება. მისი ე. წ. რეფორმატორული ფლანგი საარჩევნო გაყალბებათა ტექნოლოგიებს ეუფლებოდა. აჭარის მაშინდელი ლიდერის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა ერთ-ერთი „რეფორმატორის“ თავხედურ განცხადებაზე, რომ ისინი ხელისუფლებაში მინიმუმ 50 წელი იქნებიან. მსგავსი აპეტიტი თავისთავად გამორიცხავდა კანონს სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ. განვლილი 20 წლის განმავლობაში შექმნილი ყველა კანონი ემსახურებოდა პირველი პირის პოზიციების გაძლიერებას, მისი მმართველობისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას. ხელისუფლებისთვის წარმოუდგენელი გახდა სამმართველო ბერკეტებთან განშორება, მით უმეტეს კანონის შექმნა, რომელიც ყოფილს პასუხს აგებინებდა სახელმწიფო დანაშაულისთვის ან რატომ უნდა შეექმნა საკუთარი თავის საწინააღმდეგო კანონი?**

ის, რაც კანონით არ იკრძალება, დაშვებულია.

დაუსჯელობის სინდრომი მყარად არის ფესვგადგმული თავისუფალ საქართველოში. ჩვენდა სავალალოდ, დაუსჯელობის გარანტად აშშ გვევლინება. როდესაც ასეთ პროტექციას აქვს ადგილი გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ყოფილი პრეზიდენტის „მამა-შვილური“ დარიგება, სისტემატურად რომ გვეფინება კრწანისიდან. საზოგადოებას არ მოუთხოვია ის, რასაც სხვაგან ითხოვენ — სახელმწიფო შეცდომისა და დანაშაულისათვის პასუხისგება. გავიხსენოთ პერუ, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჩილე, არგენტინა... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სულ ახლახანს პერუს ყოფილ პრეზიდენტს ფუჯიმორის სახელმწიფო დანაშაულისთვის 35 წლიანი ციხე არგუნეს. ტაივანის ყოფილი პრეზიდენტის კორუფციულ საქმიანობას სასამართლო იხილავს და მალე ისიც პერუს ყოფილი პრეზიდენტის ბედს გაიზიარებს. ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ოლმერტის საქმეც სასამართლოშია. ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით ქვეყნის სასამართლოს შეუძლია სისხლის სამართლის საქმე აღძრას უცხოელზე თუ საქმე ეხება სამხედრო ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს. სასამართლოში, ადამიანის უფლებათა დამცველი მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის საჩივარია შესული ბუშის და მისი ადმინისტრაციის ზოგიერთი მოხელის მიმართ, რომელთაც ბრალს უყენებენ გუანტანამოს ციხეში გამომწყვდეულ ეჭვმიტანილებზე განხორციელებულ წამებაში. საჩივრებს ცნობილი ესპანელი მოსამართლე ბალთაზარ გარსონი იხილავს. 1998 წელს სწორედ მან გამოუტანა პატიმრობის განაჩენი ჩილეს დიქტატორს პინოჩეტს.

**სახელმწიფოს პირველი პირი თვით უნდა იყოს ქვეყნის კონსტიტუციის, კანონების, კეთილდღეობის დამცველი. შეცდომებისა და დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ ის რიგით მოქალაქესავით უნდა ისჯებოდეს. საზოგადოებაში კვლავაც ამბობენ, რომ პრეზიდენტი არ გადადგება, მაგრამ თუ დააპირა, ხელშეუხებლობის გარანტიას მოითხოვსო. ასეთი აზროვნების დროს სახელმწიფო იკარგება. ის ობოლი და უპატრონო ხდება. ის მხოლოდ მეორეხარისხოვან ფუნქციას ასრულებს — პირველი პირის ხუშტურების დაკმაყოფილებას.**

„ჩვენს უკან საქართველოა“ ხმამაღლა იყვირა პარლამენტის წინ მომიტინგე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა. წინ არის თუ უკან, ამას საზოგადოება თავად დაინახავს. ოპოზიციონერთა მიზნის ასრულების შემდეგ უნდა ვიმედოვნოთ, რომ არ იქნება ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფა, ძირფესვიანად შეიცვლება მისდამი მომხმარებლური დამოკიდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათაც ისე მოექცევიან, როგორც ხელისუფლება მოექცა წინამორბედს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

14 აპრილის ექო

# მათ იცოდნენ, რაზეც მიდიოდნენ

## რა ხდებოდა უნივერსიტეტში 31 წლის წინათ და რა ხდება იქ ახლა

**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ჩვენი ეროვნული ღირსების სადარაჯოზე იდგა. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ განათლების რეფორმის სახელით, უწინარესად, უნივერსიტეტზე მიიტანეს იერიში სწორედ ამ ეროვნული მუხტის მოსასპობად. სამწუხაროა, რომ დღეს იგი სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შორის რეიტინგით მერვე ადგილზეა. ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს კარგად ახსოვს 70-იანი წლები, როდესაც მოსკოვიდან მოსული ბრძანების თანახმად, ლექციები რუსულად უნდა წაკითხულიყო. ეს რექტორის განკარგულებააო, — ასე უთხრეს ქალბატონ მარიამს.**

„უნივერსიტეტის რექტორთან დავით ჩხიკვიშვილთან კარგი ურთიერთობა მქონდა. პირდაპირ შევედი მასთან, რათა გამეგო, რა მოხდა. მოსკოვიდან განკარგულებაა მოსული, თქვენმა კათედრამ ისტორიის ფაკულტეტზე ორიოდე საგნის რუსულად წაკითხვა უნდა უზრუნველყოსო.

ბრძანების ჩვენება მოვითხოვე, ვიცოდი, რომ ასეთ ბრძანებებს წერილობით არავინ გასცემდა, ეტყობა, ტელეფონით დაურეკეს და მოსინჯეს, მიაღწევდნენ თუ არა მიზანს უნივერსიტეტში.

დავით ჩხიკვიშვილი აყვირდა და მაგიდაზე მუშტი დაარტყა. გამიკვირდა, ჩვენს შორის არ იყო ისეთი ურთიერთობა, რომ რექტორი ასე მომქცეოდა.

მეც უკან არ დავიხიე და მაგიდაზე მუშტის დარტყმით ვუპასუხე. მაგას ვინც მოითხოვს, გადაეცი, რომ შენ გყავს საქართველოს ისტორიის გიჟი კათედრის გამგე, რომელიც ამას არ გააკეთებს!

დათიკო ძალიან გამოცდილი კაცი იყო, მისი კაბინეტიდან რომ გამოვედი, მაშინ მივხვდი, რატომ ატეხა ყვირილი და ხმაური. მისაღებში დავინახე ისინი, ვისაც უნდა გაეგონა რექტორის ჩხუბი, რომ მას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ არ თანხმდება. მაშინ მივხვდი, რატომ მიყვიროდა და მიბრახუნებდა მუშტებს.

ამ მოთხოვნის გამო მძიმე ვითარება შეიქმნა უნივერსიტეტში. რამდენიმე კათედრის გამგემ კატეგორიული უარი განაცხადა რუსულად საგნების წაკითხვაზე. სულ ახალგაზრდა დეკანის მოადგილემ მზია ლეკვეიშვილმა ფაქტობრივად აქცია მოაწყო მეორე კორპუსში. დღეს ვის გააკვირვებ აქციებით, მაშინ კი ასეთი რამ შეუძლებელი იყო. ბატონები: დევი კაციტაძე, გოგი ფუთურიძე, ვასილ ჩანტლაძე, გივი ჟორდანია, ყველა კატეგორიულად წინ აღუდგა თავსმოხვეულ ე. წ. ბრძანებას. უნივერსიტეტში ვერ მოახერხეს ამის გატანა.

ქართული ენის გამო საპროტესტო ტალღაც 1978 წლის 14 აპრილს უნივერსიტეტიდან დაიწყო. უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტები პირველ კოლონად მიდიოდა, შემდეგ მიჰყვებოდნენ სხვები. მახსოვს, დავით ჩხიკვიშვილმა დამირეკა და მითხრა, სტუდენტებთან



გავსულიყავით და გველაპარაკა. რა უნდა ვუთხრათ, არ ვიცი-მეთქი. უნივერსიტეტთან ნემსი არ ჩავარდებოდა. გავედით, მეც მიკანკალებდა ხელი და იმასაც.

— შვილებო, თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე, მე ვიცი, ვისთანაც მაქვს საქმე. ფრთხილად იყავით! — ეს თქვა რექტორმა, კომუნისტმა კაცმა. მერე მე ჩამილაპარაკა — ის ჩამოსასვლელი ქუჩები ტექნიკითაა სავსეო.

ახლა ჩემი ჯერი დადგა:

— მე რა შემიძლია გითხრათ? საკუთარ შვილებსაც ვერაფერს ვეუბნები, წავიდნენ თუ არ წავიდნენ. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, როგორ მოიქცევით, მაგრამ იცოდეთ, მდგომარეობა ძალზე რთულია...

და ეს ბავშვები — ყველანი იმ დღეს, პირველ კოლონად მიდიოდნენ, ჯიბეში პასპორტები ედოთ. ჩემი ორი ვაჟიშვილიც პირველ რიგში იდგა. მათ იცოდნენ, რაზე მიდიოდნენ. ამის მოწმეები ჩვენ ვიყავით“... — დაასრულა მარიამ ლორთქიფანიძემ.

**ვინ წარმოიდგენდა, რომ იმ 14 აპრილიდან 31 წლის შემდეგ უნივერსიტეტის როლი ეროვნულ მოძრაობაში ასე დაკნინდებოდა და მას მიზანმიმართულად ჩაძირავდნენ! მაგრამ, ეტყობა ესეც წინასწარ იყო გათვლილი...**

**ამიტომაც არაფერი ხდება იქ ახლა სასიკეთო და ქვეყნისთვის სასარგებლო.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

„მიმართვა“

# მემკვიდრეობითი ქვებუდანობა

## ბერძნული თემის სახელით არაკაცები ლაპარაკობენ



დავიწყოთ იმით, რომ ინტრიგანების ეს ჯგუფი, ოღონდ რაიმეს გამორჩეს და მზადაა ისტორიული სამშობლოც აბეზღოს რუსების ველიკოდერჟავული ინკუბაციების წინაშე. ემლიქვნელებიან რა აგრესიული სეპარატიზმის სისხლიან თავკაცებს, ისინი ბერძენთა სამშობლოში დაბრუნებას აკვალიფიცირებენ „ქართველთა მიერ ომის დაწყების გამო იძულებით ემიგრაციად“. ამავე დროს რუსეთის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს – აფხაზეთის დროებითი ოკუპაცია და იქ აგრესიული სეპარატიზმის სისხლიანი თარეში მათ სამისდღემშიო სიცხადედ და სისწორედ დაუდგენიათ და ამ ხარისხში აღიარებენ მეოცე საუკუნის პირსისხლიან ბოროტმოქმედებას.

ბერძენთა ისტორიულ სამშობლოში მიბრუნების მორიგი ტალღა დაიწყო ე.წ. პერესტროიკის პერიოდში და მათ ქართული საზოგადოება სახლიკაცად აცილებდა. ამაზე ქვემოთ.

თეთრი ძაფითაა ნაკერი ის სიცრუეც, რომ საბერძნეთში დაბრუნებული ბერძნების თვითშეგნება „რუსულენოვანთა 500.000-იან დიასპორად“ მოიაზრებს თავს (საკითხავია, „დამოუკიდებელ აფხაზეთს“ რატომ უნდა ახარებდეს ბერძენთა საყოველთაო რუსულენოვნება, რომ ასე საგანგებო პატაკით აბარებენ ანგარიშს ე.წ. მიმართვის ავტორები?!ძ.

არც ისაა სწორი, თითქოს პონტოელი ბერძნები საბერძნეთის სახელმწიფო ენას არ ფლობდნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 1989-90 წლებიდან, როცა ისინი ქუდზე კაცად უბრუნდებოდნენ ისტორიულ სამშობლოს, გავიდა თითქმის ოც წლამდე, მათი რიგები შეივსო საბერძნეთის სინამდვილეში აღზრდილი თაობით, რომელიც დღეს ჩვენგან მიგრირებულთა უმეტესი ნაწილია. ესეც არ იყოს, არათუ ბერძნები, თვით ქართველებიც კი, დროებით საშოვარზე რომ იმყოფებიან იქ, ვალდებული არიან საბერძნეთის ჰიმნი იცოდნენ... ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ, აი, ველიკოდერჟავული სულით გაზრდილი ჯგუფი საქვეყნოდ მოსთქვამს იმაზე, რომ რუსულენოვან სიმრავლეს საბერძნეთში სახელმწიფო ენის, მით უფრო, წესით მშობლიური ენის ცოდნას ავალდებულებენ.

ე.წ. მიმართვის ავტორები, ეხებიან რა ისტორიას, აულაგმავად აუპატიურებენ მას, კერძოდ, ზემოთ დამოწმებული ამონარიდის ქვეტექსტი ასეთი გახლავთ: „ქართველ დიდმპყრობელს“, სტალინს ბერძნებისგან დაუცლია აფხაზეთი და აქ, ანუ „არაქართულ ქვეყანაში“ ჩაუსახლებია ქართველი კოლონისტები მეზობელი ქვეყნიდან – საქართველოდან.

ჯერ ერთი, ი. სტალინი ხალხთა გადასახლებებით, მათ შორის ქართველთა რეპრესიებით აკეთებდა არა ქართულ, არამედ რუსულ საქმეს. იმ დროს საბჭოთა კავშირში ოსმალეთის იმპერიიდან შემოსახლებული ბერძნები, რომელთაგან ყველას როდი ჰქონდა საბჭოთა პასპორტი, კრემლმა თითიდან გამოწოვილი საბაბით შუა აზიის ამთვისებელ მუშახელად დაადგინა. ეს სისასტიკე არანაირად არ მომსახურებია ქართულ საქმეს, პირიქით, იმ ხანად ქართველთა ერთი ნაწილიც გადაასახლეს ამ მხარეებში. ამ ვითარებაში თვით ბერძენთა შორის გამოძებნილ მომჩივანთა ძალისხმევითაც იკვეთებოდა მათი „არაკეთილსაიმედოობა“, თანაც ეს ისეთ ვითარებაში ხდებოდა, როცა მოსალოდნელი იყო თურქეთთან ომი. ეს საზარელი აქცია უნდა მომსახურებოდა, ვითომცდა, ომის წარმოებისას ზურგის უსაფრთხოებასაც. თუმცა, ბერძენთა გადასახლების უმთავრესი მიზანი შუა აზიაში რუსული მუხლუხისათვის საჭირო პოლიგონის აშენება იყო.

რაც შეეხება ქართველთა ჩამოსახლებას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში – აფხაზეთში, მიმართვის ავტორები ჩქმალავენ, რომ ამ დროისათვის გერმანელთა მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობა ნიაღვრად წამოვიდა საქართველოსკენ, შემოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ არმენებიც. თუ ამ მიმართვის უკან მდგარ ჩასაფრებულებს მართლა აინტერესებთ ისტორია, მაშინ რატომ უნდა უკვირდეთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში გეგმიური ჩასახლება იმავე ქვეყნის მეორე ნაწილიდან, როცა აქ ქაოსურად და განუკითხავად მკვიდრდებოდნენ რუსული იმპერიის დასაყრდენი არაქართველი მოქალაქეები?! განა თვით საბერძნეთი დღეს საზღვრების გასწვრივ დემოგრაფიული სიჭრელის ასაცილებლად არ იყენებს თავის მოსახლეობას, მათ შორის მიგრირებულ პონტოელ ბერძნებს?! ამას ვინმეს უნდა უთანხმებდეს იგი?! განა 1992-1993 და შემდგომი წლების საომარმა ავანტიურამ არ აჩვენა, რომ თითქმის ყველა ხალხი, რომელიც ე.წ. რუსულენოვან კონტინგენტს წარმოადგენდა აფხაზეთში, ქართველთა წინააღმდეგ ომში რუსეთის მხარეს დადგა?! თუმცა, გამონაკლისი აქ, საბედნიეროდ, იყო და ესენი ბერძნები გახლდნენ. რა თქმა უნდა, რამდენიმე ბერძენიც იბრძოდა მტრის მხარეზე, მაგრამ ეს საყოველთაო სახალხო განწყობაში არ გადაზრდილა.

დაბოლოს ერთი საკითხიც, მ. კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის საქმიანობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში: მე ამ ფონდის რწმუნებული ვიყავი აფხაზეთში და საქმის ვითარება სხვებზე უკეთ თუ არა, უარესად არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ე.წ. მიმართვის ავტორთა ლექტორიუმი ამ მხრივ არ მჭირდება.

1989 წელს აფხაზეთში მოსკოვის მიერ პროვოცირებული ე. წ. ეთნოკონფლიქტის ესკალაცია საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩაშალა. ამის საპირწონედ კრემლმა გადაწყვიტა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დემოგრაფიული შინაარსი საბოლოოდ მოექცია თავის მიზნებთან შესაბამისობაში. ამისათვის მან გადაწყვიტა ქ. სპიტაკში 1988 წლის ნოემბერში მომხდარი მიწისძვრისგან დაზარალებული არმენების ნედლეულად გამოყენება... ეს ხალხი აფხაზეთის თითქმის ყველა სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა თუ საერთო საცხოვრებელში ჩაასახლეს. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო დადგენილებაც იქნა მიღებული ადგილებზე მათი ჩაწერის აკრძალვაზე, არმენებს ამ მხრივ არც ფული აკლდათ და არც მწყალობელი, ამიტომ ისინი სხვადასხვა გზით ხელში ჩაგდებულ სახლებს თავაუტკიებლად იფორმებდნენ. ვინაიდან, ამ დროს საბჭოთა კავშირში ეთნიკურ ნიადაგზე პროვოცირებული სისხლისღვრების შედეგად შეფიქრიანებული ბერძნული მოსახლეობა ერთბაშად დაიძრა ისტორიული სამშობლოსკენ, რათა მოსალოდნელ საფრთხეს გარიდებოდა, – მათი საკარმიდამოები ჩალის ფასად უვარდებოდათ ხელში საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ძალებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა (ზ. გამსახურდიაძ და საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს წარმომადგენლის (პ. ჩხეიძე – საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარეძ დავალებით მე შევხვდი ბერძნული თემის თავკაცებს და მოვილაპარაკეთ რიგ საკითხებზე, კერძოდ, სახლებს ჩვენ შევისყიდიდით ურთიერთმისაღებ ფასებში, დავეხმარებოდით ფულის გასაქონლებაში და სასაზღვრო პრობლემათა გადაწყვეტაში. მართლაც, ჩვენ არ გვისარგებლია იმით, რომ სახლების ფასები დაბალი იყო. თელავიდან ზუგდიდამდე ყველა საწყობი და მაღაზია გაფრთხილებული იქნა, რომ ბერძნებს დაუბრკოლებლად რომ შეესყიდათ მათთვის საჭირო საქონელი, რომელსაც შემდეგ საბერძნეთში გაყიდდნენ და ამგვარად აიღებდნენ თავიანთი სახლის საფასურს (საბჭოთა ფულს საბერძნეთში მსყიდველობითი უნარი არ ჰქონდა, ამიტომ მას აქ ასაქონლებდნენ და შემდეგ საბერძნეთში იქაურ ფულზე ჰყიდდნენ აქ შეძენილ მეკონ-მოკონსძ.

რადგან დოლარები ხელმისაწვდომი არ იყო ფართო მომხმარებლისათვის, იმიტომ კეთდებოდა ასე. ამასთან, ჩვენს მიერ შესყიდულ სახლებში ბერძნებს უფლება ჰქონდათ უსასყიდლოდ ეცხოვრათ მანამ, სანამ ყველა პრობლემას არ მოაგვარებდნენ.

ჩვენ საცხოვრებელი სახლი აფხაზეთში დარჩენის მსურველ ბერძენსაც და ესტონელსაც ვუყიდეთ.

ბერძენთა ისტორიულ სამშობლოში, მათი სურვილის შესაბამისად მიბრუნებას გაგებით და სახლიკაცად მოეკიდა როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, ასევე ქართველი საზოგადოება. იმ დროის ქართველი ოფიციოზიც მხარს უჭერდა ასეთ სახლიკაცურ ურთიერთობას და საბჭოთა კანონებს მათ მიმართ შეძლების დაგვარად არბილებდა (ვრცლად ამაზე იხილეთ ჩემს წიგნში მ. კოსტავას ფონდის მიერ აფხაზეთში გაწეული მუშაობის შესახებ. თბილისი, 2004წ.).

მ. კოსტავას ფონდის საქმიანობა იმდენად მისაღები აღმოჩნდა ბერძნული თემისათვის, რომ იმ დროს 7.000-ზე მეტი ბერძნის განცხადება მქონდა, რომლებიც მათი სახლის ყიდვას ითხოვდნენ. აი, ასე „ვავიწროებდით“ ჩვენ ბერძნებს. ბერძნები, როგორც უკვე გითხარით, გვთხოვდნენ ფულის გასაქონლებას და ეროვნული მოძრაობა, ამ არც თუ იოლ საქმეში, გვერდში ედგა მათ.

მიმართვის ავტორთა ბოღმის წყარო გახლავთ ის, რომ ბერძენთა სურვილი – დაბრუნებოდნენ ისტორიულ სამშობლოს, კრემლმა ვერ აქცია ქართველებთან მათი დაპირისპირების ლოკალურ მიმართულებად. მეორეც, ბერძნები ქართველთა მიმართ მადლიერების გრძნობით ბრუნდებოდნენ სამშობლოში, რაც შემდგომ წლებში გამოვლენილმა გულითადობამაც დაადასტურა როგორც აფხაზეთში, ასევე საბერძნეთში. სხვათა შორის, ბარემ მიმართვის იმ ნაწილსაც გავეცნოთ, რომელშიც, მიუხედავად აგრესორთა თარეშის შელამაზებისა, მაინც ჩანს აგრესიული სეპარატიზმის მიერ განხორციელებული ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგების „გასამართლიანებისა“ და „გაკანონიერების“ მცდელობა:

„ჩვენთვის ცნობილი გახდა აფხაზეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში ახალი № 233 მუხლის – „საკუთრების უფლების აღიარების შესახებ შეძენილობის ხანდაზმულობის გამო“ – გაჩენის შესახებ, რომლის თანახმადაც „პირი, რომელიც არ არის ქონების მესაკუთრე, მაგრამ კეთილსინდისიერად, აშკარად და განუწყვეტლივ ფლობდა თავის საკუთარ უძრავ ქონებას ათი წლის განმავლობაში ანდა სხვა ქონებას ხუთი წლის განმავლობაში, იძენს მესაკუთრის უფლებას ამ ქონებაზე“. რასაკვირველია, ანალოგიური მუხლები არის სხვა ქვეყნების, მათ შორის ევროპის სახელმწიფოების კანონმდებლობაშიც. მაგრამ არის არსებითი განსხვავება. იქ უძრავი ქონების ფლობის ვადა განსაზღვრულია 15-20 წლით. ამავე დროს დაკავებული საცხოვრებელი ფართობი მეპატრონის გამოჩენის დროს მითითებული ვადის გასვლამდე – თავისუფლდება დაუყოვნებლივ. ამას გარდა, ამ მუხლს არ უნდა ჰქონდეს „უკუძალა“, ამიტომ გასაგები ხდება, რომ ჩვენს შემთხვევაში ეს მუხლი აკანონებს სხვისი (ბერძნისძ ქონების მიტაცებას, ვინაიდან ტერმინი „კეთილსინდისიერი და აშკარა მფლობელობა“ არ შეესაბამება მას მხოლოდ იმიტომ, რომ კეთილსინდისიერ მფლობელად შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც არ იცის საკუთარი ქონების არსებობის შესახებ, ხოლო ბევრი ჩვენგანი მთელი ამ წლების განმავლობაში (ათწლიანი ბლოკადის გაუქმების შემდეგ დსთ-ს ყველა ქვეყნის მიერძ ცდილობდნენ და ცდილობენ, დაიბრუნონ თავიანთი საკუთრება (სასამართლო ორგანოების მეშვეობითაც კიძ, მაგრამ პასუხად ვღებულობთ პროვოკაციებსა და დაშინებას. ბევრ ბერძენს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაბრუნებულიყო სახლში შევარდნაძის რეჟიმის მიერ უცხოური პასპორტების გაუქმების გამო, რომლებიც გაცემული იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ, ზოგიერთს კი აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოჩენაც კი ეშინია სიცოცხლის საფრთხის გამო. განსაკუთრებით ბერძნულ სოფელ აკაბაში მომხდარი შემთხვევის გამო, სადაც უკვე ომის დამთავრების შემდეგ დახოცეს და დაწვეს 17 კაცი და დღეს ცალკეულ პირებს ეშინიათ კიდეც პრეზიდენტისადმი ამ მიმართვაზე ხელმოწერისაც. სხვისი საცხოვრებლის მიტაცებლების არგუმენტი ერთია: „ჩვენ ვიბრძოდით, თქვენ კი წახვედით“. ვფიქრობთ, ყველასთვის ცნობილია იმის შესახებ, რომ ბერძნები მხარს უჭერდნენ აფხაზი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის და არა მხოლოდ მორალურად, არამედ იარაღით ხელშიც. ბერძნებს შორის არიან პიროვნებები, რომლებმაც მიიღეს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ჯილდოები, მათ შორის სიკვდილის შემდეგაც. აფხაზეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაიღუპნენ ვ.ე. ევსტაფიადი, ს.ა. ზაპუნიდი, ს.ა. კარაიანიდი, ხ.ვ.მიხაილიდი, ვ. ი. იალანჩიდი და ბერძენი ხალხის სხვა შვილები. აფხაზეთის სათემოს ხელმძღვანელები (ე.გ.ანასტასიადი და ი.ხ. ზელილოვიძ აფხაზეთის სახალხო ფრონტ „აიდგილარასთან“ აქტიური თანამშრომლობისთვის აფხაზეთის ოკუპანტებმა შეიყვანეს დასაპატიმრებელთა და ფიზიკურად გასანადგურებელთა სიებში“.

გასაგებია, ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს განკარგოს თავისი საკუთრება, მაგრამ ამისათვის საძრახი გზა არ უნდა აირჩიოს.

ისე, ცნობისათვის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში – აფხაზეთში მოსახლე ბერძნებსა და არმენებს, რომლებიც ამ მხარეში, როგორც ვიცით, ოსმალეთის იმპერიიდან ცნობილი მოვლენების შედეგად 1914 წლის 1 ივლისამდე (პირველ მსოფლიო ომამდე) დამკვიდრდნენ, მათი სურვილის შემთხვევაში დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებისგან უდგინდებოდათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა და უპიროვნდებოდათ უფლება არჩეული ყოფილიყვნენ არჩევით ორგანოებში ან აერჩიათ სასურველი კანდიდატურა ხელისუფლებაში, რაც მთავარია, დაუკანონდათ საკუთრება.

საკითხის ასე გადაწყვეტას კმაყოფილებით შეხვდა მოსახლეობა, თუმცა იყვნენ უკმაყოფილონიც და ესენი გახლდნენ აფხაზეთში დღეს სისხლისღვრით მოთარეშე სეპარატისტული ხროვის წინაპრები, იმ დროის რუსეთუმე სეპარატისტები აფხაზეთში. სწორედ მათ შთამომავლებს უკმევს დღეს გუნდრუკს არამკითხეთა ჯგუფი. მოკლედ, ასეთი გახლავთ აგრესიული სეპარატიზმის მიერ საბერძნეთში გადასროლილი დესანტის დივერსიული საქმიანობა, რომლებსაც უპირველეს ყოვლისა, მათდა საუბედუროდ, ღვთივსაწყენი ხერხებით მოსურვებიათ მიწიერი თარეშით მარადიულობაში გაშინაარსება.

**„ე, რა ყოფილხარ ადამიანო, თუ არა ლანდი მსწრაფლწარმავალი“**, – ათასწლეულების მიღმიდან დღემდე სწუხს დიდი ბერძენი სოფოკლე.

მარადისობა ღვთივსათნო ცხოვრებაა!

**სერგი (გიორგი) საჯაია,**
**მწერალი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სალიტერატურო პრემიის ლაურეატი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 74.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული ოპოზიცია აშკარა სტრატეგიის გარეშე

**ერთდღიანი შესვენების შემდეგ, გზობასთან დაკავშირებით რომ შაბათს გამოაცხადა ოპოზიციამ, ორშაბათს პროტესტები განახლდა. თუ თბილისიდან მიღებულ ცნობებს ვირწმუნებთ, ეს შესვენება იყო, ალბათ, ოპოზიციის მცდელობა, „არ დაეკარგა თავისი სახე, ერთგვარი სასოწარკვეთილებაც“ – შაბათს ხომ დემონსტრანტების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.**

„შესვენების“ შემდეგ ორგანიზატორები აპირებენ, გააგრძელონ პროტესტები ახალი ფორმატით. მომიტინგეთა დიდი ნაწილი ძველებურად რჩება პარლამენტის შენობასთან, მაგრამ ამჯერად დე-



მონსტრანტების ნაწილი დღე-ღამის განმავლობაში იქნებიან პრეზიდენტის სასახლესთან. ყოველივე ეს, ერთი მხრივ, მოწმობს ოპოზიციის უსუსურობაზე, მეორე მხრივ – სააკაშვილის რეზიდენციასთან მიტინგის მონაწილეთა მუდმივმა ყოფნამ შეიძლება ბოლო მოუღოს პოლიციის მოთმინებას. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ოპოზიციონერები დაინტერესებული არიან მშვიდობიანი პროტესტის ძალადობრივზე გადაზრდაში, საკითხი სადავოა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ოპოზიციურ ძალებს „არ ჰყოფნით საერთო სტრატეგია“. მიუხედავად ამისა, მართალია საპროტესტო ტალღა მცირდება, მაგრამ შეჯახების საშიშროება ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი.

Neue Zürcher Zeitung

**„ფერადი რევოლუციების“ ახალი ციკლი არყევს პოსტსაბჭოთა სივრცეს. და ხალხი კვლავ თითებს იშვერს ყველა მხარისკენ, მომხდარში ბრალს სდებენ უცხოურ ძალებს, რომლებიც ცდილობენ, ხელი მოითბონ ქაოსსა და უწესრიგობაზე.**

გასულ კვირას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მოლდოვასა და საქართველოში დაიწყო ქუჩის მრისხანე პროტესტები, რომლებიც მიზნად ისახავენ არჩეული მთავრობების ჩამოგდებას. დემონსტრანტები ამტკიცებენ, რომ მთავრობები ხელისუფლებაში მოვიდნენ მოტყუების გზით, ახლა კი ცდილობენ დაამყარონ დიქტატურა.

საქართველოში ასეთი რამ პირველად არ ხდება. აქ არჩეულ პრეზიდენტებს რეგულარულად ცვლიან ძალადობით, დაწყებული 1991 წლიდან, როდესაც ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა სსრ კავშირისგან.

> **მ. სააკაშვილი:**
> **ფულის დიდი ნაწილი (პროტესტების დაფინანსება) რუსი ოლიგარქებისგან შემოდის...**

მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თავად მოვიდა ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, იმ ქუჩის პროტესტებში, რომლებიც არყევენ თბილისს გასული კვირიდან, რუსების შეთქმულებას ხედავს.

ორშაბათს საქართველოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე შეიკრიბა დაახლოებით 20 ათასი კაცი, რათა მოეთხოვათ სააკაშვილის გადადგომა. ასეთი მიტინგები მიმდინარეობს უკვე ხუთი დღის განმავლობაში.

„ფულის დიდი ნაწილი (პროტესტების დაფინანსებაძ შემოდის რუსი ოლიგარქებისგან, – განაცხადა გასულ კვირას სააკაშვილმა „ნიუსვიკის“ კორესპონდენტთან საუბარში. – შემოდის ეს ფული რუსეთიდან. რუსეთის მთავრობის მითითებით ხდება ეს თუ არა, მე არ ვიცი“.

რუსეთი უარყოფს თავის მონაწილეობას მომხდარში, ხოლო რუსი ექსპერტები ბრაზობენ კიდეც, როდესაც გაისმის ვარაუდი იმის შესახებ, თითქოს კრემლს აქვს დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე საშინაოპოლიტიკურ პროცესებთან.

„სისულელეა, ბრალი დასდო მოსკოვს იმაში, რომ იგი, თითქოს, დგას ამ პროტესტების უკან. ამის დაჯერება მხოლოდ სააკაშვილს შეუძლია, – ამბობს ექსპერტი მიხაილ ალექსანდროვი დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტიდან, რომელსაც აფინანსებს რუსეთის სახელმწიფო, – პროტესტების ლიდერები საქართველოში – ეს სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლები არიან, ყველასთვის კარგად ნაცნობი პროდასავლური პოლიტიკოსები“.

ასეთივე მტკიცებანი გაისმის მოლდოვაში, სადაც კომუნისტი-პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი აცხადებს, რომ ყოველივე ეს მოაწყო ნატოში მყოფმა მეზობელმა რუმინეთმა. მისი სიტყვებით, ახალგაზრდული ჯგუფები აპროტესტებენ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. ვორონინმა შეძლო ჯერჯერობით ჩაეხშო კრიზისის ტალღა, მაგრამ ამისთვის მას მოუწია დათანხმებულიყო ხმების ხელახლა დათვლაზე, რომელიც ოთხშაბათს შედგება.

ყველა ეს ურთიერთსაპირისპირო მტკიცებანი მეტად ნაცნობად გამოიყურება. მაგრამ ეს ბუნებრივია. როდესაც მსგავსი რყევების ტალღაზე გადააყენეს პრომოსკოვური რეჟიმები საქართველოში (2003 წ.ძ, უკრაინაში (2004 წ.ძ და ყირგიზეთში (2005 წ.ძ, კრემლი ხმამაღლა ჩიოდა იმის შესახებ, რომ ამ აჯანყებების უკან დასავლეთის სახელმწიფოები დგასო.

როდესაც ჩაიარა „ფერადი რევოლუციების“ პირველმა ტალღამ, ბევრი ექსპერტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მათ შორის თავად რუსეთიც, მეტად მგრძნობიარე გახდა მწვავე პოლიტიკური რყევების მიმართ, რომლებსაც აწყობენ დემოკრატიული აქტივისტები საპროტესტო აქციებით ქუჩებში გამოსვლის დროს.

2006 წელს რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მაშინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოუწოდა მათ, დაიცვან სიფხიზლე, განსაკუთრებით დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო გაერთიანებების საქმიანობასთან დაკავშირებით, რათა თავიდან აეცილებინათ „უცხოელი სახელმწიფოების მცდელობა, გამოიყენონ ეს ორგანიზაციები რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევისთვის“.

მოსკოველ პოლიტოლოგებს შორის მყარადაა ტენდენცია: ისინი პოლიტიკურ უწესრიგობაში ნებისმიერ დაშორებულ კუთხეში პოსტსაბჭოთა სივრცისა, ხედავენ დასავლეთის მცდელობას რუსეთის გავლენის ჩახშობის მიზნით.

„მოლდოვა განწირული იყო ანტირუსული რევოლუციისთვის, ხოლო ხელისუფლების შეცვლის მცდელობა დროისა და ხელსაყრელი შემთხვევის საქმე იყო“, – წერდა თავის სარედაქციო სტატიაში გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ კიშინიოვში უწესრიგობათა შემდეგ.

ექსპერტების უმეტესობა საუბრობს იმის შესახებ, რომ არეულობა რეგიონში გამოიწვია შინაგანმა ზემოქმედებამ და არის გარდაქმნის ისტორიული პროცესის ნაწილი იმ ქვეყნებში, რომლებიც 70 წლის განმავლობაში ჩაკეტილი იყვნენ სსრ კავშირის შიგნით.

„ყველა ამ „ფერადი რევოლუციის“ მიზეზი, როგორც წარმატებულებისა, ისე წარუმატებლებისაც, ატარებენ მხოლოდ საშინაო ხასიათს, – ამბობს კავკასიის კვლევის ერევნის დამოუკიდებელი ცენტრის დირექტორი ალექსანდრ ისკანდერიანი, – გარეშე ძალები შეიძლება არიან კიდეც, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოახდინონ აჯანყების ინიცირება, თუ ამისთვის ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბდა საშინაო წინაპირობები“.

მაგრამ ბევრი სხვა სპეციალისტი, მათ შორის ისეთი, როგორიცაა რუსული ნაციონალისტური საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ხელმძღვანელი ალექსანდრ დუგინი, ამტკიცებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარეობს გეოპოლიტიკური ომი ბატონობისთვის და ამ ომში რუსეთი აგებს.

„რუსეთი არ ავლენს არავითარ უნარს, იყოს ამ ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების თანაბარი“, – ამბობს დუგინი. მისი სიტყვებით პროდასავლური ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ უკმაყოფილო ახალგაზრდობას, აგრეთვე „გლობალისტურ“ არასამთავრობო გაერთიანებებს, იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიების უკანასკნელ მიღწევებს ქსელური ურთიერთობისთვის და ელვისებური რევოლუციების ორგანიზაციისთვის, რომლებსაც შეუძლიათ სასწრაფოდ დაამხონ კანონიერი, მაგრამ მეტად დუნე სახელისუფლო სტრუქტურები.

„ჩვენ ამ ამბოხებათა მხოლოდ პირველ ეტაპს ვადევნებთ თვალყურს, – აცხადებს დუგინი, – მთელი მსოფლიო, მათ შორის რუსეთიც, სულ უფრო და უფრო სუსტი ხდება ასეთი რევოლუციებისთვის. ვფიქრობ, რომ ასეთი რამ განმეორდება მრავალ სხვა ადგილებში, მათ შორის რუსეთშიც“.

The Christian Science Monitor

## დედამიწის ზურგზე



**უნგრელები აცხადებენ პროტესტს ახალი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ, არიან დაზარალებულები**

მთავრობის მეთაური ფერენც დიუჩანი პარლამენტის გადაწყვეტილებით შეცვალა გორდონ ბაინაიმ. მაგრამ მის გეგმებში არსებული ანტიკრიზისული ღონისძიებანი არ სარგებლობენ პოპულარობით. რამდენიმე ათასმა ადამიანმა მოაწყო აქცია, ისინი მოითხოვდნენ პარლამენტის ვადამდელი არჩევნების მოწყობას.

* * *

**მოლდოვიდან გააძევეს მორიგი რუმინელი ჟურნალისტი**

ქვეყანა დატოვა ტელეარხ „რუმინეთი-1-ის“ კორესპონდენტმა დორუ დენდიუმ. ამჟამად კიშინიოვში თითქმის არც ერთი რუმინელი ჟურნალისტი არ დარჩენილა. ჯერ კიდევ გასულ კვირას, მოლდოვის დედაქალაქში უწესრიგობების დროს, ისინი გააძევეს ან მათ თავად დატოვეს ქვეყანა რადგან მათ აშინებდნენ.

* * *

**ინდოეთში მაოისტებმა საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიციელებსა და მესაზღვრეებს შეუტიეს**

ბიხარის შტატში ბოევიკები თავს დაესხნენ მესაზღვრეების ბანაკს, რომლებიც აქ გადმოიყვანეს ხმის მიცემის დროს წესრიგის უზრუნველყოფისთვის. მეზობელ ჯარკანდის შტატში მაოისტებმა ააფეთქეს ავტობუსი, რომელსაც გადაჰყავდა ცენტრალური გასამხედროებული სარეზერვო პოლიციის რაზმი.



## პერსპექტივა

# „უსამართლო“ კრიზისის საფრთხეები

**თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „დიდი რეცესიის“ ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია დროში გაწელილი ფინანსური პრობლემები, რასაც, შესაძლოა, მთელ რიგ ქვეყანაში შიდა დაძაბულობის გამძაფრება მოჰყვეს.**

გაისად ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესის დაწყების პროგნოზი აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან მსოფლიო ამჟამად ჯერ კიდევ გლობალური კრიზისის დასაწყისშია, – აცხადებს ჰარვარდის უნივერსიტეტის ფინანსების სპეციალისტი ნაიოლ ფერგიუსონი. მისი აზრით, ფინანსურ კრიზისს, შესაძლოა, მთლად მესამე მსოფლიო ომი თუ არა, ყოველ შემთხვევაში შეიარაღებული პოლიტიკური კონფლიქტები მოჰყვეს. **კრიზისის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მას ცენტრალური ბანკების შეცდომები, რომლებიც მხოლოდ სამომხმარებლო ფასების ინფლაციას ებრძოდნენ და თვალს ხუჭავდნენ უძრავ ქონებაზე ფასების ინფლაციას.**

– ესაა უაღრესად უსამართლო კრიზისი, – განაგრძობს ნაიოლ ფერგიუსონი, – დიახაც, ამერიკის შეერთებული შტატები მისი ეპიცენტრია, მაგრამ დანარჩენმა სამყარომ, მეტადრე მისმა სავაჭრო პარტნიორებმა, გაცილებით მეტად იზარალეს. იგი ასევე მიიჩნევს, რომ წლეულს განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და აზიის ქვეყნები იზარალებენ, სადაც ვითარების წინასწარ განჭვრეტა მეტად რთული საქმეა.

ჰარვარდელი სპეციალისტის აზრით, **ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მთელ რიგ ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას გამოიწვევს და მინავლებულ სამოქალაქო დაპირისპირებებს გაამძაფრებს.** შედეგად, სუსტი პოლიტიკური რეჟიმები შედარებით უფრო აგრესიულ საგარეო პოლიტიკას გაატარებენ, მაგრამ გლობალური გეოპოლიტიკური კონფლიქტები ნაკლებად სავარაუდოა. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ **რუსეთს ამჟამად არ აქვს საქართველოს მიმართ შარშანდელი აგვისტოს ომის მსგავსი წარმოების ფინანსური სახსრები.**

რაც შეეხება საინვესტიციო ბაზარს, ფერგიუსონი ამერიკულ და ევროპულ აქტივების „ვალებში გაყიდვას“ და წლეულს ბაზარზე ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის ორი ტრილიონი დოლარის ღირებულების ახალი ვალდებულებების გამოტანას წინასწარმეტყველებს. **შეთავაზება იზრდება, მოთხოვნა კი მცირდება, ამიტომ ობლიგაციები გაიაფდა, ხოლო ევროს ზონის შენარჩუნება ძალიან ძვირი დაჯდება.**

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ **XX საუკუნის დასაწყისის დიდი დეპრესიიდან ჭეშმარიტი გამოსვლა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა,** – ესაა მთელი რიგი ანალიტიკოსის აზრი. ამდენად, თითქოს სავარაუდო იყო, რომ ისინი ასევე ანალოგიის გატარებას ეცდებოდნენ ახლანდელ სიტუაციასთან და მესამე მსოფლიო ომის პროგნოზირებასაც ეცდებოდნენ, მაგრამ ამაზე მაინც ნაკლებად ლაპარაკობენ. **თუკი საერთოდ „მესამე მსოფლიო ომს“ ახსენებენ, მას, ზოგადად ტერორიზთან, ერაყსა და ავღანეთში ომების, ასევე კავკასიაში კონფლიქტების და არა ეკონომიკურ კონტექსტში განიხილავენ.**

საერთაშორისო უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი საკითხების განხილვისას ასევე აუცილებლად უნდა ვახსენოთ Oxford Research Group-ის ძალიან საინტერესო ანალიზი, რომელშიც ოთხი კონფლიქტოგენური ფაქტორია გამოყოფილი, კერძოდ:



**1. მთელ მსოფლიოში მზარდმა სოციალურ-ეკონომიკურმა უთანასწორობამ, ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, შესაძლოა საზოგადოებრივი მოძრაობები და ძალადობის კერები წარმოშვას; 2. კლიმატურ ცვლილებათა გამომწვევმა გლობალურმა დათბობამ შეიძლება კაცობრიობა იქამდე მიიყვანოს, რომ მთელი ქვეყნები „უსახლკაროდ“ დარჩებიან იმის გამო, რომ ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავების არანაირი ეკონომიკური საშუალება არ ექნებათ; 3. ბუნებრივი რესურსებისთვის ბრძოლა (განსაკუთრებით სპარსეთის ყურეში, სხვაგანაც) კიდევ უფრო მეტად გამძაფრდება, რაც კონფლიქტების მიზეზი გახდება; 4. ზოგიერთ ქვეყანაში ელიტების სწრაფვა საკუთარი უსაფრთხოების სამხედრო ძალით უზრუნველყონ, სხვა ქვეყნებშიც ანალოგიურ მისწრაფებებს გამოიწვევს.**

ყველა ეს ფაქტორი, რომელიც თავისთავადაც არსებობს, ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებით შესაძლოა გაძლიერდეს და დიდი კონფლიქტები გამოიწვიოს. ამდენად, მკვლევარები, გამოსავალს მხოლოდ ეკონომიკის აღდგენასა და მისი ეფექტიანი მუშაობის მოქმედების უზრუნველყოფაში ხედავენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**საქმე №2/857-09**

# განჩინება

## საქართველოს სახელით

### სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

**„13" აპრილი 2009 წელი** **ქ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**
**განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე**

**განმცხადებელი –** შპს „ევერკრააი ბი.ვი." („EVERKRAAI B.V.")

**წარმომადგენლები** – ავთანდილ სვანიძე, ერეკლე გლურჯიძე

**დაინტერესებული პირი –** სს ,,საქმშენელექტროს" აქციონერები (აქციონერთა რეესტრი 03.02.2009 წლის მდგომარეობით): ვალენტინა ევნოპულოსი, რამაზ ჭიღიტაშვილი, ელენე კახნიაშვილი, ბეჟან გიგაშვილი, შურა შალამბერიძე, გალინა ნესტეროვა, ომარ ბაგაური, თამარ ხაჩიძე, ვეტლანა ლუკინა, ანზორ ბედუკაძე, სუსანა ჭოხონელიძე, იზოლდა ჭელიძე, ლეილა მაგდალიანოვა, ლუდმილა მამულაშვილი, ზაზა ლაბაძე, რამაზ კოხრეიძე, ვალერი თათარაშვილი, იზოლდა გიორგაძე, ალექსანდრე ზვიადაძე, კარინა მეცატუნიანი, ელიზავეტა ანტიპინა, აბესალომ ბასილაძე, გიორგი გაგნიძე, ალინა ელიზბაროვა, მარინა ძაგანაშვილი, ავთანდილ პურიჭამიშვილი, ფაიგ მეხტიევი, ტუტა ჯამელაშვილი, კირიაკია კაუშლიევა, ალექსანდრა ჩილოვა, ნატალია კარავაევი, ზარლი ასკეროვი, ეპროქსია ჯეირანოვი, ნიკოლოზ შტანკოვი, ალა ჯიბლაძე, ლუიზა გლაზოვა, კონსტანტინე პავლოვი, ლუდმილა ლუჟნაია, ალექსი ანთაძე, რუსუდან ბაბუნაშვილი, სანდრიკა ციყმაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, მარინა შუგაევა, მანანა ზარიძე, ვალერიან ვერულაშვილი, ლეონიდ კურტიანი, ლუდმილა კალინინა, კარენ ჯავაგიროვი, ლიანა ელიზბაროვი, მეირ კრიხელი, ნატალია მაჩნევა, ალექსანდრა მურადოვა, მარია კესოვა, ფიოლეტა ნაზლუხანოვი, დავით ხუდოიანი, გურგენ ხიზანიშვილი, კახა ონიაშვილი, სერგო გაბარაშვილი, ლილი ხაჩირაშვილი, გერასიმე ამირიანი, დონარა ცანდეკოვა, ტატიანა სტარავოიტოვი, ელენე პერეპიოლკინა, აფროდიტა არზუმანოვი, ბორის გიგაშვილი, შოთა ბირკაია, სერგეი რისიუკი, სოფიო პასენოვი, თამარ ხუციშვილი, ბორის ხასოევი, ავთანდილ ჟორჟოლიანი, ვლადიმერ სავჩენკო, ლიანა გოგიშვილი, ნათელა ტოგოშვილი, ქეთევან ხიზამბარელი, გივი ლომთაძე, დავით თევზაძე, ამესტი დავიდიანი, სერგო სიხარულიძე, ლიუბა ბოაჯანი, რაისა ვორონინა, ტატიანა ემილიანოვა, გიორგი ბუხნიკაშვილი, გიორგი ბიწკინაშვილი, სს "საქმშენელექტრო", ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის საქველმოქმედო ფონდი "ორთოსი".

**მოთხოვნის არსი –** აქციათა სავალდებულო მიყიდვა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს "საქმშენელექტრო"-ს აქციონერებისათვის – **ვალენტინა ევნოპულოსის, რამაზ ჭიღიტაშვილის, ბეჟან გიგაშვილის, შურა შალამბერიძის, გალინა ნესტეროვას, ომარ ბაგაურის, სვეტლანა ლუკინას, იზოლდა ჭელიძის, ლეილა მაგდალიანოვას, ლუდმილა მამულაშვილის, ზაზა ლაბაძის, ვალერი თათარაშვილის, ალექსანდრე ზვიადაძის, კარინა მეცატუნიანის, ელიზავეტა ანტიპინას, გიორგი გაგნიძის, მარინა ძაგანაშვილის, ავთანდილ პურიჭამიშვილის, ფაიგ მეხტიევის, ტუტა ჯამელაშვილის, კირიაკია კაუშლიევას, ალექსანდრა ჩილოვას, ნატალია კარავაევის, ზარლი ასკეროვის, ეპროქსია ჯეირანოვის, ნიკოლოზ შტანკოვის, ლუიზა გლაზოვას, ლუდმილა ლუჟნაიას, ალექსი ანთაძის, რუსუდან ბაბუნაშვილის, თენგიზ გაჩეჩილაძის, მარინა შუგაევას, ვალერიან ვერულაშვილის, ლეონიდ კურტიანის, ლუდმილა კალინინას, კარენ ჯავაგიროვის, ლიანა ელიზბაროვის, ნატალია მაჩნევას, მარია კესოვას, ფიოლეტა ნაზლუხანოვის, დავით ხუდოიანის, სერგო გაბარაშვილის, გერასიმე ამირიანის, დონარა ცანდეკოვას, ელენე პერეპიოლკინას, სერგეი რისიუკის, ქეთევან ხიზამბარელის, გივი ლომთაძის, ლიუბა ბოაჯანის, რაისა ვორონინას, აფროდიტა არზუმანოვის, გიორგი ბიწკინაშვილის, ალინა ელიზბაროვას, ტატიანა ემილიანოვას, ალექსანდრა მურადოვას, კონსტანტინე პავლოვის, სოფიო პასენოვის, ტატიანა სტარავოიტოვის, სუსანა ჭოხონელიძის, ლილი ხაჩირაშვილის, გიორგი ბუხნიკაშვილისა და ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის საქველმოქმედო ფონდი "ორთოსი"-სათვის** განცხადებისა და თანდართული საბუთების, ასევე სასამართლო უწყების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2009 წლის 06 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა შპს „ევერკრააი ბი.ვი."-მ („EVERKRAAI B.V.") (წარმომადგენლები ავთანდილ სვანიძე და ერეკლე გლურჯიძე) სს "საქმშენელექტრო"-ს აქციონერთა მიმართ აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე მოთხოვნით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „ევერკრააი ბი.ვი." („EVERKRAAI B.V.") წარმოადგენს სს ,,საქმშენელექტროს" აქციონერს, რომელიც ფლობს აქციათა საერთო რაოდენობის 99.155441% აქციებს. დანარჩენ აქციებს ფლობს 86 აქციონერი, რომელთაგან 84 ფიზიკური პირია, ხოლო 2 იურიდიული პირი. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვით მას სურს განახორციელოს დანარჩენი აქციონერებისაგან აქციათა სავალდებულო მიყიდვა (გამოსყიდვა). აღნიშნულის თაობაზე, კანონით დადგენილი წესების დაცვით, გამოქვეყნდა განცხადება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 2008 წლის 30 დეკემბერს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელმა მოითხოვა სს "საქმშენელექტრო"-ში 2009 წლის 5 მარტის 18:00 საათის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდეს აქციათა გამოსყიდვა.

**სასამართლომ დაინტერესებულ პირთათვის – სს ,,საქმშენელექტრო"-ს აქციონერებისათვის განცხადებისა და თანდართული საბუთების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხის განხილვისას დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტები:**

შპს „ევერკრააი ბი.ვი."-მ („EVERKRAAI B.V.") 2009 წლის 06 თებერვალს აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე მოთხოვნით განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

შპს „ევერკრააი ბი.ვი."-ს („EVERKRAAI B.V.") განცხადება აქციათა მიყიდვის თაობაზე 2009 წლის 09 თებერვლის განჩინებით მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით სს ,,საქმშენელექტრო"-ს აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით საბროკერო კომპანიად დაინიშნა შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი +".

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე შპს „ევერკრააი ბი.ვი."-ს („EVERKRAAI B.V.") განცხადების განსახილველად დანიშნულ სასამართლო სხდომაზე დაინტერესებულ პირებს **– სს ,,საქმშენელექტრო"-ს აქციონერებს – ვალენტინა ევნოპულოსს, რამაზ ჭიღიტაშვილს, ბეჟან გიგაშვილს, შურა შალამბერიძეს, გალინა ნესტეროვას, ომარ ბაგაურს, სვეტლანა ლუკინას, იზოლდა ჭელიძეს, ლეილა მაგდალიანოვას, ლუდმილა მამულაშვილს, ზაზა ლაბაძეს, ვალერი თათარაშვილს, ალექსანდრე ზვიადაძეს, კარინა მეცატუნიანს, ელიზავეტა ანტიპინას, გიორგი გაგნიძეს, მარინა ძაგანაშვილს, ავთანდილ პურიჭამიშვილს, ფაიგ მეხტიევს, ტუტა ჯამელაშვილს, კირიაკია კაუშლიევას, ალექსანდრა ჩილოვას, ნატალია კარავაევს, ზარლი ასკეროვს, ეპროქსია ჯეირანოვს, ნიკოლოზ შტანკოვს, ლუიზა გლაზოვას, ლუდმილა ლუჟნაიას, ალექსი ანთაძეს, რუსუდან ბაბუნაშვილს, თენგიზ გაჩეჩილაძეს, მარინა შუგაევას, ვალერიან ვერულაშვილს, ლეონიდ კურტიანს, ლუდმილა კალინინას, კარენ ჯავაგიროვს, ლიანა ელიზბაროვს, ნატალია მაჩნევას, მარია კესოვას, ფიოლეტა ნაზლუხანოვს, დავით ხუდოიანს, სერგო გაბარაშვილს, გერასიმე ამირიანს, დონარა ცანდეკოვას, ელენე პერეპიოლკინას, სერგეი რისიუკს, ქეთევან ხიზამბარელს, გივი ლომთაძეს, ლიუბა ბოაჯანს, რაისა ვორონინას, აფროდიტა არზუმანოვს, გიორგი ბიწკინაშვილს, ალინა ელიზბაროვას, ტატიანა ემილიანოვას, ალექსანდრა მურადოვას, კონსტანტინე პავლოვს, სოფიო პასენოვს, ტატიანა სტარავოიტოვს, სუსანა ჭოხონელიძეს, ლილი ხაჩირაშვილს, გიორგი ბუხნიკაშვილსა და ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის საქველმოქმედო ფონდ "ორთოსს" საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოთ შპს „ევერკრააი ბი.ვი."-ს („EVERKRAAI B.V.") განცხადებისა და თანდართული საბუთების შინაარსი, რასაც საფუძვლად უდევს შემდეგი სამართლებრივი შეფასება და სამართლის ნორმები:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[13] ითვალისწინებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების განხილვის წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო განსაზღვრავს დროს ზეპირი მოსმენისათვის და მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობებს სხდომის დროსა და ადგილს. აქციონერს, რომლის აქციების გამოსყიდვასაც მოითხოვს მყიდველი (შემდგომში დაინტერესებული პირი) უწყებასთან ერთად ეგზავნება განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები და განესაზღვრება ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სს ,,საქმშენელექტრო"-ს აქციონერებს – **ვალენტინა ევნოპულოსს, რამაზ ჭიღიტაშვილს, ბეჟან გიგაშვილს, შურა შალამბერიძეს, გალინა ნესტეროვას, ომარ ბაგაურს, სვეტლანა ლუკინას, იზოლდა ჭელიძეს, ლეილა მაგდალიანოვას, ლუდმილა მამულაშვილს, ზაზა ლაბაძეს, ვალერი თათარაშვილს, ალექსანდრე ზვიადაძეს, კარინა მეცატუნიანს, ელიზავეტა ანტიპინას, გიორგი გაგნიძეს, მარინა ძაგანაშვილს, ავთანდილ პურიჭამიშვილს, ფაიგ მეხტიევს, ტუტა ჯამელაშვილს, კირიაკია კაუშლიევას, ალექსანდრა ჩილოვას, ნატალია კარავაევს, ზარლი ასკეროვს, ეპროქსია ჯეირანოვს, ნიკოლოზ შტანკოვს, ლუიზა გლაზოვას, ლუდმილა ლუჟნაიას, ალექსი ანთაძეს, რუსუდან ბაბუნაშვილს, თენგიზ გაჩეჩილაძეს, მარინა შუგაევას, ვალერიან ვერულაშვილს, ლეონიდ კურტიანს, ლუდმილა კალინინას, კარენ ჯავაგიროვს, ლიანა ელიზბაროვს, ნატალია მაჩნევას, მარია კესოვას, ფიოლეტა ნაზლუხანოვს, დავით ხუდოიანს, სერგო გაბარაშვილს, გერასიმე ამირიანს, დონარა ცანდეკოვას, ელენე პერეპიოლკინას, სერგეი რისიუკს, ქეთევან ხიზამბარელს, გივი ლომთაძეს, ლიუბა ბოაჯანს, რაისა ვორონინას, აფროდიტა არზუმანოვს, გიორგი ბიწკინაშვილს, ალინა ელიზბაროვას, ტატიანა ემილიანოვას, ალექსანდრა მურადოვას, კონსტანტინე პავლოვს, სოფიო პასენოვს, ტატიანა სტარავოიტოვს, სუსანა ჭოხონელიძეს, ლილი ხაჩირაშვილს, გიორგი ბუხნიკაშვილსა და ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის საქველმოქმედო ფონდ "ორთოსს"** სასამართლო გზავნილები ვერ ბარდებათ განცხადებაში მითითებული მისამართის მიხედვით, სასამართლო თვლის, რომ მათ საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოთ შპს „ევერკრააი ბი.ვი."-ს („EVERKRAAI B.V.") განცხადებისა და თანდართული საბუთების, ასევე სასამართლო უწყების შინაარსი.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

**1. დაინტერესებულ პირებს – სს ,,საქმშენელექტროს" აქციონერებს: ვალენტინა ევნოპულოსს, რამაზ ჭიღიტაშვილს, ბეჟან გიგაშვილს, შურა შალამბერიძეს, გალინა ნესტეროვას, ომარ ბაგაურს, სვეტლანა ლუკინას, იზოლდა ჭელიძეს, ლეილა მაგდალიანოვას, ლუდმილა მამულაშვილს, ზაზა ლაბაძეს, ვალერი თათარაშვილს, ალექსანდრე ზვიადაძეს, კარინა მეცატუნიანს, ელიზავეტა ანტიპინას, გიორგი გაგნიძეს, მარინა ძაგანაშვილს, ავთანდილ პურიჭამიშვილს, ფაიგ მეხტიევს, ტუტა ჯამელაშვილს, კირიაკია კაუშლიევას, ალექსანდრა ჩილოვას, ნატალია კარავაევს, ზარლი ასკეროვს, ეპროქსია ჯეირანოვს, ნიკოლოზ შტანკოვს, ლუიზა გლაზოვას, ლუდმილა ლუჟნაიას, ალექსი ანთაძეს, რუსუდან ბაბუნაშვილს, თენგიზ გაჩეჩილაძეს, მარინა შუგაევას, ვალერიან ვერულაშვილს, ლეონიდ კურტიანს, ლუდმილა კალინინას, კარენ ჯავაგიროვს, ლიანა ელიზბაროვს, ნატალია მაჩნევას, მარია კესოვას, ფიოლეტა ნაზლუხანოვს, დავით ხუდოიანს, სერგო გაბარაშვილს, გერასიმე ამირიანს, დონარა ცანდეკოვას, ელენე პერეპიოლკინას, სერგეი რისიუკს, ქეთევან ხიზამბარელს, გივი ლომთაძეს, ლიუბა ბოაჯანს, რაისა ვორონინას, აფროდიტა არზუმანოვს, გიორგი ბიწკინაშვილს, ალინა ელიზბაროვას, ტატიანა ემილიანოვას, ალექსანდრა მურადოვას, კონსტანტინე პავლოვს, სოფიო პასენოვს, ტატიანა სტარავოიტოვს, სუსანა ჭოხონელიძეს, ლილი ხაჩირაშვილს, გიორგი ბუხნიკაშვილსა და ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის საქველმოქმედო ფონდ "ორთოსს" საჯარო პუბლიკაციით ეცნობოთ შპს „ევერკრააი ბი.ვი."-ს („EVERKRAAI B.V.") განცხადების და მასზე დართული საბუთების შინაარსი.**

**2. მათვე საჯარო პუბლიკაციით ეცნობოთ სასამართლოს სხდომის დროისა და ადგილის შესახებ;**

**3.** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე საჯარო პუბლიკაციით დაინტერესებულ პირებს **– სს ,,საქმშენელექტროს" აქციონერებს: ვალენტინა ევნოპულოსს, რამაზ ჭიღიტაშვილს, ბეჟან გიგაშვილს, შურა შალამბერიძეს, გალინა ნესტეროვას, ომარ ბაგაურს, სვეტლანა ლუკინას, იზოლდა ჭელიძეს, ლეილა მაგდალიანოვას, ლუდმილა მამულაშვილს, ზაზა ლაბაძეს, ვალერი თათარაშვილს, ალექსანდრე ზვიადაძეს, კარინა მეცატუნიანს, ელიზავეტა ანტიპინას, გიორგი გაგნიძეს, მარინა ძაგანაშვილს, ავთანდილ პურიჭამიშვილს, ფაიგ მეხტიევს, ტუტა ჯამელაშვილს, კირიაკია კაუშლიევას, ალექსანდრა ჩილოვას, ნატალია კარავაევს, ზარლი ასკეროვს, ეპროქსია ჯეირანოვს, ნიკოლოზ შტანკოვს, ლუიზა გლაზოვას, ლუდმილა ლუჟნაიას, ალექსი ანთაძეს, რუსუდან ბაბუნაშვილს, თენგიზ გაჩეჩილაძეს, მარინა შუგაევას, ვალერიან ვერულაშვილს, ლეონიდ კურტიანს, ლუდმილა კალინინას, კარენ ჯავაგიროვს, ლიანა ელიზბაროვს, ნატალია მაჩნევას, მარია კესოვას, ფიოლეტა ნაზლუხანოვს, დავით ხუდოიანს, სერგო გაბარაშვილს, გერასიმე ამირიანს, დონარა ცანდეკოვას, ელენე პერეპიოლკინას, სერგეი რისიუკს, ქეთევან ხიზამბარელს, გივი ლომთაძეს, ლიუბა ბოაჯანს, რაისა ვორონინას, აფროდიტა არზუმანოვს, გიორგი ბიწკინაშვილს, ალინა ელიზბაროვას, ტატიანა ემილიანოვას, ალექსანდრა მურადოვას, კონსტანტინე პავლოვს, სოფიო პასენოვს, ტატიანა სტარავოიტოვს, სუსანა ჭოხონელიძეს, ლილი ხაჩირაშვილს, გიორგი ბუხნიკაშვილსა და ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის საქველმოქმედო ფონდ "ორთოსს" ატყობინებს შემდეგს: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/857-09 შპს „ევერკრააი ბი.ვი."-ს („EVERKRAAI B.V.") განცხადებისა გამო აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე.**

**განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებს იმაზე, რომ იგი წარმოადგენს სს ,,საქმშენელექტრო"-ს აქციონერს, რომელიც ფლობს აქციათა საერთო რაოდენობის 99.155441% აქციებს. დანარჩენ აქციებს ფლობს 86 აქციონერი, რომელთაგან 84 ფიზიკური პირია, ხოლო 2 იურიდიული პირი. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესბის დაცვით მას სურს განახორციელოს დანარჩენი აქციონერებისაგან აქციათა სავალდებულო მიყიდვა (გამოსყიდვა). აღნიშნულის თაობაზე, კანონით დადგენილი წესების დაცვით, გამოქვეყნდა განცხადება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 2008 წლის 30 დეკემბერს.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელმა მოითხოვა სს "საქმშენელექტროში" 2009 წლის 5 მარტის 18:00 საათის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდეს აქციათა გამოსყიდვა.**

**4.** დაინტერესებულ პირებს – სს ,,საქმშენელექტროს" აქციონერებს ასევე ეცნობოთ, რომ:

○ თქვენ ვალდებული ხართ წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, წარმოადგინოთ მოსაზრებები განცხადების და თანდართული საბუთების შესახებ ჩაბარებიდან ,,05" დღის ვადაში.

**5.** განცხადების და თანდართული საბუთების ასლები დაინტერესებულ პირებს – **სს ,,საქმშენელექტროს" აქციონერებს: ვალენტინა ევნოპულოსს, რამაზ ჭიღიტაშვილს, ბეჟან გიგაშვილს, შურა შალამბერიძეს, გალინა ნესტეროვას, ომარ ბაგაურს, სვეტლანა ლუკინას, იზოლდა ჭელიძეს, ლეილა მაგდალიანოვას, ლუდმილა მამულაშვილს, ზაზა ლაბაძეს, ვალერი თათარაშვილს, ალექსანდრე ზვიადაძეს, კარინა მეცატუნიანს, ელიზავეტა ანტიპინას, გიორგი გაგნიძეს, მარინა ძაგანაშვილს, ავთანდილ პურიჭამიშვილს, ფაიგ მეხტიევს, ტუტა ჯამელაშვილს, კირიაკია კაუშლიევას, ალექსანდრა ჩილოვას, ნატალია კარავაევს, ზარლი ასკეროვს, ეპროქსია ჯეირანოვს, ნიკოლოზ შტანკოვს, ლუიზა გლაზოვას, ლუდმილა ლუჟნაიას, ალექსი ანთაძეს, რუსუდან ბაბუნაშვილს, თენგიზ გაჩეჩილაძეს, მარინა შუგაევას, ვალერიან ვერულაშვილს, ლეონიდ კურტიანს, ლუდმილა კალინინას, კარენ ჯავაგიროვს, ლიანა ელიზბაროვს, ნატალია მაჩნევას, მარია კესოვას, ფიოლეტა ნაზლუხანოვს, დავით ხუდოიანს, სერგო გაბარაშვილს, გერასიმე ამირიანს, დონარა ცანდეკოვას, ელენე პერეპიოლკინას, სერგეი რისიუკს, ქეთევან ხიზამბარელს, გივი ლომთაძეს, ლიუბა ბოაჯანს, რაისა ვორონინას, აფროდიტა არზუმანოვს, გიორგი ბიწკინაშვილს, ალინა ელიზბაროვას, ტატიანა ემილიანოვას, ალექსანდრა მურადოვას, კონსტანტინე პავლოვს, სოფიო პასენოვს, ტატიანა სტარავოიტოვს, სუსანა ჭოხონელიძეს, ლილი ხაჩირაშვილს, გიორგი ბუხნიკაშვილსა და ინვალიდ ბავშვთა რეაბილიტაციის საქველმოქმედო ფონდ "ორთოსს", ჩაბარებულად ჩაეთვალოთ საჯარო შეტყობინებიდან მე-7 დღეს და ამ დღიდან აითვალოს მოსაზრებების წარმოდგენის ვადა;**

**6. დაინტერესებულ პირებს – სს ,,საქმშენელექტროს" აქციონერებს" ასევე ეცნობოთ შემდეგი:**

**○ შპს „ევერკრააი ბი.ვი."-ს („EVERKRAAI B.V.") განცხადების განსახილველად სასამართლოს სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში დანიშნულია 2009 წლის „29" აპრილს 13 საათსა და 00 წუთზე, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6, დარბაზი №23;**

**7.** განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე**
**თ. სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**

◎ ეროვნული თასი

# აჭარლებთ ვინმე თუ?..

**რამდენიმე დღის წინათ რუსთავის „ოლიმპმა“ ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს, დედაქალაქის „ვიტ ჯორჯიას“ გულუხვი მასპინძლობა გაუწია და უმნიშვნელოვანესი 3 ქულა ჩააჩუტა.**

მაშინვე დაირხა ხმა — ვეტერინარები ვალში არ დარჩებიან და დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის ნახევარფინალს დაუთმობენ იმავე მეტოქესო. ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ეს პროგნოზი გამართლდა — პირველი რაუნდი ქვემოქართლელებმა მოიგეს — 4:2.

თბილისელთა უფროსობა საკითხს პრაგმატულად მიუდგა და იმთავითვე აცხადებდა: ორ ფრონტზე ბრძოლას თავს ვერ გავართმევთ და ჩვენთვის პრიორიტეტი ეროვნული ჩემპიონატიაო. ამიტომ ლოგიკურია, რუსთაველთა წინაალმდეგ სათადარიგო შემადგენლობა რომ ათამაშა. რა უფლება გვაქვს, არ ვირწმუნოთ ასეთი განმარტების ჭეშმარიტება, მაგრამ ვითომ რამე დაშავდებოდა, იგივე ნაბიჯი ერთ-ერთ წინა ეტაპზე რომ გადაედგათ? ამით ხომ, უპირველესად, საკუთარ რეპუტაციას მოუფრთხილდებოდნენ.

რაც შეეხება ვაკის სტადიონზე გამართულ თბილისურ დერბის, მისი ბედი მსაჯ ლევან კვარაცხელიას ერთმა სადავო გადაწყვეტილებამ განსაზღვრა. ეს ეპიზოდი 73-ე წუთზე მოხდა, როცა მინდვრის ცენტრში დილმელაშვილმა დიაკვნიშვილს ბურთი წესის დარღვევით აართვა — სახეში იდაყვი უთავაზა, მაგრამ რადგან „შაოსანმა“ აღნიშნული ფაქტი ურეაგირებოდ დატოვა, შეტევა გაგრძელდა და... სწორედ აქ გაიხსნა კვანძი — არბიტრმა მიიჩნია, რომ ლომაიამ მერებაშვილი საჯარიმოში მოცელა და რკინიგზელები მეკარის გაძევებასთან ერთად პენალტით დასაჯა.



ვინაიდან „ლოკომოტივს“ შეცვლების ლიმიტი უკვე ამოწურული ჰქონდა, კარში ჩადგომა მახარაძეს მოუწია. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ მან ვერც დაზარალებულთან დუელში იხსნა პარტნიორები და ვერც 85-ე წუთზე, როცა კოშკაძის ჩაწოდებულ კუთხურს აფრიკელი ლეგიონერის აკირემის ზუსტი თავური დარტყმა მოჰყვა — 0:2. სხვათა შორის, იმ მომენტში სარბიელზე ახლადგამოჩენილი ჯორჯი ბურთს პირველად შეეხო.

დავძენთ, რომ მსაჯის საწყალობელი დინამოელებს ისედაც არაფერი სჭირდათ — თანაბარი დებიუტის შემდეგ ისინი საფუძვლიან უპირატესობას ფლობდნენ და ჯერ ლომაიამ დატოვა გაწბილებული მასთან პირისპირ გასული კოშკაძე, ხოლო მეორე ტაიმში მერებაშვილის შესრულებული საჯარიმოს შემდეგ საქმეში ძელი ჩაერია.

საპასუხო ნახევარფინალური მატჩები 29 აპრილისთვისაა დანიშნული.

◎ გახსენება

# „კლდის ვეფხვმა“ გვიმასპინძლა



**1968 წლის ივნისში თანამშრომლებთან ერთად სამსახურებრივი მივლინებით მესტიაში ვიმყოფებოდი. სწორედ იმ დღეებში ალპინისტთა რამდენიმეკაციანი ჯგუფისა და კინოოპერატორების — ბარამიძისა და კრეპსის თანხლებით მშობლიურ რაიონს გამოჩენილი მთამსვლელი, „კლდის ვეფხვად“ მონათლული მიხეილ ხერგიანი ეწვია.**

მათი ჩამოსვლის მიზანი იყო უშბაზე ჯგუფური ასვლის გადაღება, ლეგენდარული მამულიშვილი კი, როგორც სვანეთის მკვიდრი, აღნიშნული ღონისძიე-



ბის მონაწილეებს მასპინძლობდა. როცა ჩვენი იქ ყოფნის შესახებ შეიტყო, ბუნებრივია, ყურადღება არც ჩვენ მოგვაკლო და მწვერვალის ძირას მოწყობილ შეკრებაზე მიგვიპატიჟა, რომელიც, ტრადიციისამებრ, ქართული პურმარილით დაგვირგვინდა (იგი თვითონ, როგორც პროფესიონალი სპორტსმენი, მხოლოდ სადღეგრძელოების წარმოთქმით კმაყოფილდებოდა).

როცა მესტიიდან ჩვენი გამომგზავრების დრო მოვიდა, „კლდის ვეფხვმა“ თითოეულ ჩვენგანს ჯიხვის ლიტრიანი წყვილი ყანწი გვისახსოვრა, რომელიც ჩემი ოჯახის ძვირფასი რელიკვიაა.

მთაზე ასვლისა და კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატი მიხეილ ხერგიანი 1969 წლის 4 ივლისს ტრაგიკულად დაიღუპა იტალიის მთებში.

წლეულს, 25 მარტს, მას 77 წელი შეუსრულდებოდა.

სამწუხაროა, რომ იგი ჩვენს შორის აღარ არის. ასეთ მამულიშვილებს დავიწყება არ უწერიათ.

**ჯუმბერ მაღლაფერიძე**

◎ ჩემპიონთა ლიგა

# ოთხიგინალური სპექტაკლი



**„ჩელსი“ — „ლივერპულის“ საპასუხო მეოთხედფინალური რაუნდის წინ ქართველ გულშემატკივართა ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა — რაღა ამ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემს „ხალხზე გამარჯვებული“ ტელევიზიაო. საბედნიეროდ, „რუსთავი-2“-მა ამჯერად ათიანში გაარტყა და დაუვიწყარი სანახაობა შემოგვთავაზა. მიდი და ნუ ინატრებ: ნეტავ საშინაო სატკივარსაც ისე აშუქებდეს ეს სამაუწყებლო კომპანია, კაკალ გულშიო, რომ იტყვიან.**

„სტემფორდ ბრიჯზე“ დადგმულ სპექტაკლს, ბუნებრივია, ჰყავდა რეჟისორები და მთავარი პერსონაჟები, მაგრამ არ ვიქნებით ორიგინალურები, თუ განსაკუთრებულ პატივს გენიალურ მწვრთნელებს გუუს ჰიდინკსა და რაფაელ ბენიტესს არ მივაგებთ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მასპინძლებმა პირველ შეხვედრაში მიღწეული სოლიდური უპირატესობის, სტუმრებმა კი გუნდის ტრავმირებული ლიდერის ჯერარდის არყოფნის მიუხედავად სარბიელზე თავი არ დაზოგეს, შემტევი ფეხბურთის ჰიმნი დააგუგუნეს და ტაბლოზე ოთხიანები აანთეს — 4:4. დაგვეთანხმებით, ამ რანგის ბრძოლებისთვის მართლაც რომ უჩვეულო შედეგია, რომელიც ყბადაღებულ პრაგმატული ბურთაობის სტერეოტიპსაც ამსხვრევს და, აქედან გამომდინარე, მსხვილმანწვრილმან დოგმებსაც.



ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „არისტოკრატებს“ მნიშვნელოვანი პრობლემები დისკვალიფიცირებული კაპიტნის ტერის არყოფნამ შეუქმნა, თუმცა, ანალოგიური პერსპექტივა მათ პირველ ნახევარფინალურ ბრძოლაშიც ემუქრებათ „ბარსელონასთან“, სადაც მერსისაიდელებთან მიღებული მეორე ყვითელი ბარათის გამო დაცვის კიდევ ერთი ბურჯი კოული დააკლდებათ.

რაც შეეხება კატალონიურ გრანდს, მან თავს ნახევარი ძალით გარჯის უფლება მისცა. არც გაემტყუნება — ერთი კვირის წინათ „კამპ ნოუზე“ მიუნხენის „ბაიერნი“ ხომ 4:0 დასცა.

ჰოდა, „ალიანს არენაზე“ ადვილად პროგნოზირებადი ზავი გაფორმდა — 1:1 (რიბერი; კეიტაძ.

**გაგრძელება იქნება. და მერე როგორი!**

◎ სამთო თხილამურები

# მეორე ადგილს დასჯერდა



**უკვე გაუწყეთ, რომ ბაკურიანელმა იასონ აბრამაშვილმა ვალ ტორენში სლალომი მოიგო და წლეულს მეექვსედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.** ქართველმა მოთხილამურემ ამავე კურორტის ტრასებზე საფრანგეთის ღია ჩემპიონატზეც მოსინჯა. გიგანტურ სლალომში მან მეორე შედეგი აჩვენა. ჩემპიონობა ბელგიელმა ჟერონ ვან დენ ბოგაერტმა მოიპოვა. მესამე ადგილზე მისი თანამემამულე ფრედერიკ ვან ბუიდერი გავიდა. კოტე ვახტანგიშვილმა 22-ე ადგილი დაიკავა.

◎ ჭადრაკი

# ქართველებმა იყოჩაღეს

**ლას-პალმასში (ესპანეთი) დამთავრდა პედრო ლესკანო მონტავლოს სახელობის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი ჩვენებურიც მონაწილეობდა, მათ შორის — ბარსელონაში მცხოვრები დიდოსტატი ანა მათნაძე. თელაველმა მოჭადრაკემ 8,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.** გამარჯვებულს ლევან ბრეგაძე ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილი ხვდა. ზურაბ ჯავახაძემ და ნათია ჯალაბაძემ 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს და, შესაბამისად, მეცხრე და მეცამეტე ადგილებზე გავიდნენ.

საგულისხმოა, რომ მათნაძის გარდა, სამივე ქართველმა მოჭადრაკემ კატალონიურ კლუბ „პეონა ი პეოს“ შემადგენლობაშიც იასპარეზა და პრიმერა დივიზიონის გუნდური ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.



◎ ინტერნეტიდან

## გაშიშვლდა სპონსორების საშოვნელად



**პარიზში ჩასული უამრავი ტურისტის ყურადღება მიიზიდა ქალაქის ქუჩებში დედიშობილად, ჭოკით ხელში მორბენალმა ადამიანმა. ის აღმოჩნდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჭოკით ხტომაში ფრანგი რომან მესნილი.**

ამ შემთხვევის ვიდეოჩანაწერი ინტერნეტშიც გამოჩნდა სპორტსმენის პირად საიტზე. ასე ცდილობდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი სპონსორების ყურადღების მიზიდვას. ფინანსური კრიზისის გამო მას დახმარებაზე უარი უთხრა კომპანიამ Nike.

სამშაბათს სპორტსმენმა განაცხადა, რომ კომპანიამ OVH, ინტერნეტ-ჰასტინგზე რომაა დასპეციალებული, აცნობა მისთვის 16 ათასი ევროს გადახდის შესახებ. ამას გარდა, მესნილი კიდევ მიიღებს 7,5 ათას ევროს უცნობი ქველმოქმედისგან.

სპორტსმენის თქმით, მთელი ეს თანხა გადაეცემა ტვინის სიმსივნესთან მებრძოლ ასოციაციას (ARTCძ.

„ტიტვლად სირბილს მოვრჩი, ახლა სხვა საქმეს უნდა მივხედო.“ — განაცხადა ფრანგმა სპორტსმენმა. იმედოვნებენ, რომ სპონსორები ახლა მაინც მიხედავენ გაჭირვებულ სპორტსმენებს.

## მიზანში აცდენის ისრაელელი „ოსტატები“



**ხაიფის „მაკაბისა“ და თელ-ავივის „ჰაპოელის“ ფეხბურთელებმა თავისებური რეკორდი დაამყარეს მიზანში აცდენაში — „გამაზვაში“.**

სათასო შეხვედრაში მატჩის შემდგომ თერთმეტმეტრიანთა სერიაში ფეხბურთელებმა ააცდინეს ექვსი პირველი დარტყმა — სამ-სამი თითოეული მხრიდან. საბოლოოდ ხაიფელებმა გაიმარჯვეს 2:1. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სამი ბურთიც გაიტანეს ლეგიონერებმა. ვერც ერთმა ისრაელელმა პენალტის გატანა ვერ შეძლო.

## არგენტინაში გულისვარდი იპოვა

**როგორც აღმოჩნდა, ესპანელმა ჩოგბურთელმა ფელისიანო ლოპესმა, დევისის თასზე გამარჯვების შემდეგ, დრო კარგად გაატარა არგენტინაში. რაც მთავარია, ახალი სატრფო იპოვა — მოდელი ბელენ აველედო.**



26 წლის ლოპესი გასული წლის ბოლომდე ხვდებოდა მარია ხოსე სუარესს, მასზე ექვსი წლით უფროს ლამაზმანს. მათი რომანი დასრულდა ბელენას გაცნობისთანავე.

ახლახან ქალიშვილმა, რომელიც თავისი პროფესიით ძალზე მოთხოვნებაადია, გახდილმა გადაიღო ახალ ფოტოსესიაში გამოცემისთვის Interviu.

როგორც ამბობენ, ამ ფოტომ დიდი მოწონება დაიმსახურა (იქნებ თქვენც მოგეწონოთძ. ჩოგბურთელისა და მოდელის რომანს ფართოდ აშუქებს არგენტინის პრესა.

## ◉ „კრიტიკული მასა“

# კანონი, რომელსაც ვერავინ ვერსაით წაუვა...

**პოლიტოლოგიაში და, საერთოდ, ცხოვრებაში არის ერთი უკვდავი და უნივერსალური ზოგადსოციოლოგიური კანონი: როგორც კი საზოგადოებაში უკმაყოფილოთა მასა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, თვისებრივი ცვლილება გარდაუვალია. გარდაუვალია და სასურველიც, თუ ამ საზოგადოებას შემდგომი წინსვლა-განვითარება სურს.**

მაგრამ რა არის ეს „კრიტიკული მასა“ ხალხისა თუ საზოგადოებისა? – თვლიან და ანგარიშობენ ათასნაირ ვერსიასა და ვარიანტს. მაგალითად, ე. წ. „გადაწყვეტილებათა მიღების თეორიით“, ეს „კრიტიკული მასა“ განისაზღვრება 40-50 პროცენტის ფარგლებში. ამ პოლიტოლოგიურ თეორიებსაც და გათვლებსაც რომ თავი გავანებოთ, ვისაც რეალობის შეგრძნების უნარი აქვს, ის დაგვეთანხმება: დღეს „ჩარეცხილთა“ მასა კარგა ხანია გადასცილდა ამ „კრიტიკულ მასას“...



რა არის გამოსავალი? ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის გამოსავალი და სწორი გადაწყვეტილების მიღება ერთია – ქვეყანა უნდა გადავიდეს საპარლამენტო მმართველობასა და კოალიციური მთავრობის მართვა-გამგეობის სისტემაზე. განვლილი 20-წლიანი პრაქტიკაც იმაზე მიგვითითებს, რომ საპრეზიდენტო მმართველობა და ერთპარტიული მონოპოლია პოლიტიკურადაც და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც დამანგრეველია ჩვენი ქვეყნისთვის. ამ ფაქტსაც ხომ ვერავინ ვერსაით წაუვალთ – კიდევ ერთ პრეზიდენტს გადაიტანს ქვეყანა...

და ერთი მნიშვნელოვანი საგარეო ფაქტორიც ამ გადაწყვეტილების მიღების სასარგებლოდ: რუსეთის მორიგი აგრესიისა და ანექსიის საფრთხემ უნდა დაგვაფიქროს ასეთი ადეკვატური პასუხი გავცეთ მას. ამით მას გამოვაცლით თავისი ანტიქართული პოლიტიკის სუბიექტურ არგუმენტს და პიროვნულ საბაბს, რაც ვფიქრობ, გარკვეულ საფუძველს შექმნის მასთან პრობლემების მოსაგვარებლად.

ერსა თუ ბერს მუდამ ერთი დიდი ეროვნული იდეა აერთიანებს და ადუღაბებს. ასე მოხდა „ძველ“ 9 აპრილს. ღმერთმა ქნას, რომ ასე მოხდეს ამ ახალ 9 აპრილსაც. „ცხრა“ ხომ საკრალური რიცხვია ჩვენთვის...

**ელბერდ ბატიაშვილი**

## ◉ ინფორმაცია

### ნიღბიანმა პირებმა მომღერალი ზურაბ მანჯავიძე სცემეს

**შემთხვევა პირველ სკოლასთან მაშინ მოხდა, როცა მანჯავიძე თავის ძმებთან ერთად საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ მიმდინარე აქციიდან ბრუნდებოდა.**

როგორც თავად მომღერალი აცხადებს, მის მანქანას თავს ათამდე შეიარაღებული ნიღბიანი ლესია უკრაინკას ქუჩაზე დაესხნენ. ხელკეტებით ჩაამსხვრიეს მანქანის მინა, რის შემდეგაც სცემეს.

აღნიშნულის შემდეგ, მომღერალი, რომელიც აქციიდან სახლში ბრუნდებოდა, კვლავ უკან დაბრუნდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ დაბანაკებულ მომიტინგეებს შეუერთდა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის კოსტავას ქუჩაზე, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის მოთხოვნით მოძრაობა აღდგენილია, თუმცა პირველი არხის შენობის წინ გზა ოთხი საათისთვის კვლავ გადაიკეტა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

---

**შვილები მარინე, ქეთინო ჯაშები, შვილიშვილები ნიკა, სანდრო ესაკიები, მანანა, თინიკო სალუქვაძეები, სიძეები მალხაზ ესაკია, რეზო სალუქვაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**თინათინ კვაჭაძე**

**პანაშვიდი 16, 17 IV, 17 სთ. დაკრძალვა 18 IV, 15 სთ. უზნაძის ქ. 4, სად. 4.**



---

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1969 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის, სასიქადულო მამულიშვილისა და მაღალკვალიფიციური ეკონომისტ-მენეჯერის**

**ტიტიკო ლემონჯავას**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო.**

---

**მეუღლე იზოლდა კრავიშვილი, დედა ლენა შალამბერიძე, შვილები ირმა, მანანა, შვილიშვილი ელენე ესაკია, და მედეა, ძმები ბადრი, თემური, გია შალამბერიძე ოჯახით, რძლები დალი როგავა, ქეთინო ჭოხონელიძე, ძმისწულები თემური, გია, ლიკა, დისწული კოკა გვაზავა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**კორნელი შალვას ძე ბარკალაია**

**პანაშვიდი 16, 17 IV, 16 სთ. დაკრძალვა 18 IV, 14 სთ. ნუცუბიძის II მიკრორაიონი, V კვარტალი. კორპ. V.**

---

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს – სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი აცხადებს კონკურსს, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების რეესტრში გატარებული კავშირებისათვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად შემდეგ პრიორიტეტებზე:**

1. „არაფორმალური განათლება“;
2. „რეგიონალური ინტეგრაციის ხელშეწყობა“;
3. „ტერიტორიული მთლიანობა და დევნილთა მხარდაჭერა“;
4. „ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება“.

**პროექტები მიიღება 2009 წლის 5 მაისამდე.**

## ◉ „ჰერეთის დღეები“

# საინგილოდან ჩამოსულ ბავშვებს უმასპინძლეს

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, საინგილოდან ჩამოსულ ბავშვებს უმასპინძლეს.**

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, აზერბაიჯანის ბელაქანის, ზაქათალას და კახის რაიონების თორმეტ ქართულენოვან სკოლაში ლიტერატურული კონკურსი ჩატარდა. გამარჯვებულებს პირადი კომპიუტერები და სხვა საჩუქრები გადასცა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ მერაბ ჩუხუამ. სტუმრებს შეხვდა უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა: „მინდა ვთქვა, რომ ინგილო ბავშვებმა ქართული ენის არაჩვეულებრივი ცოდნა გამოავლინეს. ძალიან მდიდარი ლექსიკა აქვთ. მათ დაამსხვრიეს ის არასწორი წარმოდგენა და კლიშე, თითქოს საინგილოში მცხოვრებ ქართველებს პრობლემა აქვთ ქართულ ენასთან დაკავშირებით. დღეს აქ წარმოდგენილია მათი ნამუშევრები, რაც ამის ნათელი მაგალითია, თან ერთგვარი გამოწვევაა საქართველოსა და უნივერსიტეტის მიმართ, ამიტომ ჩვენ მათ არ უნდა დავუტოვოთ განცდა იმისა, რომ ისინი ჩვენი მხრიდან უყურადღებოდ არიან. გადავწყვიტეთ მომავალში კიდევ განვახორციელოთ ასეთი ღონისძიება“, – განაცხადა გია ხუბუამ.

ეს პროექტი საინგილოს ქართულენოვან სკოლებში მშობლიური ენის უკეთ შესწავლის, წახალისების მიზნით განხორციელდა, ასევე, პროექტის მიზანია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა, ქართველი ბავშვების დაახლოება მშობლიურ ლიტერატურასთან და ეროვნულ გარემოსთან.

როგორც ერთ-ერთმა ინგილო მოსწავლემ აღნიშნა, ისინი კმაყოფილი არიან ამ დღით, მადლობას უხდიან ღონისძიების ორგანიზატორებს. ასევე აღნიშნეს, რომ ქართული ენის შესწავლაში მათ ხელს არავინ უშლის.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საინგილოდან ჩამოსულ ბავშვებს რამდენიმე დღე უმასპინძლებს, მოსწავლეები თბილისში დარჩებიან, რადგან დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და ახალგაზრდა ჰერელთა ასოციაციის ორგანიზებით 15-16 აპრილს „ჰერეთის დღეები“ გაიმართა, რომელიც მიეძღვნა 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს გმირულად დაღუპული ქართველი მეომრების ხსოვნას. საინგილოდან ჩამოსულმა ბავშვებმა ყვავილებით შეამკეს რუსეთ-საქართველოს ომის გმირი ერეკლე ყულოშვილის სახელობის მემორიალი, ხოლო თსუ მე-8 კორპუსმა უმასპინძლა რუსეთ-საქართველოს ომისა და ქართველი ჯარისკაცების ცხოვრების ამსახველ ფოტოგამოფენას. „ჰერეთის“ დღეებში“ მონაწილეობდა ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ანსამბლი „ლაზარე“.

**ანა კვარაცხელია**

---

საქმე №2/606-2008

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

24 მარტი 2009 წელი. ქ. ქუთაისი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი**
**სხდომის მდივანი კობა მოდებაძე**
**მოსარჩელე – ვაჟა ლექვინაძე (არ გამოცხადდა)**
**წარმომადგენელი – ლეილა ფხაკაძე**
**მოპასუხე – მარინე კვერნაძე (არ გამოცხადდა)**
**თეიმურაზ ქომეთიანი (არ გამოცხადდა)**
**დავის საგანი – დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

ვაჟა ლექვინაძემ სარჩელით მომართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების მარინე კვერნაძის და თეიმურაზ ქომეთიანის მიმართ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

1989 წელს ე. წ. „შინაურული ხელწერილის“ საფუძველზე მოპასუხეებმა ცოლ-ქმარმა მარინე კვერნაძემ და თეიმურაზ ქომეთიანმა 45000 რუსულ რუბლად მიყიდეს ქ. ქუთაისში, ბუხაიძის ქ. მე-2 მ/რ №33/28-ში მდებარე სამოთახიანი ბინა, რომელიც ირიცხებოდა მარინე კვერნაძის სახელზე. აღნიშნული თანხიდან მოპასუხეებმა აიღეს 40 000 რუბლი და სანაცვლოდ გადასცეს ბინის გასაღები და გამოანთავისუფლეს ბინა, სადაც შესახლდა ოჯახით.

მოსარჩელის მითითებით დარჩენილი თანხა გამსესხებლებისათვის უნდა გადაეხადა ბინის გადაფორმების შემდეგ, თუმცა მოპასუხეებმა თავი აარიდეს შეთანხმებული პირობის შესრულებას, იგივე სამოთახიანი ბინა 1992 წელს 60000 რუსულ რუბლად განმეორებით გაასხვისეს და გადაუფორმეს ვალერიან სოხაძეს, რომელმაც თავის მხრივ საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში გადასცა თეა გოგავას. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თეა გოგავას სარჩელი და იგი თავის ოჯახთან ერთად გამოსახლებული იქნა ქ. ქუთაისში, ბუხაიძის ქ. მე-2 მ/რ №33/38-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან.

2006 წელს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის-რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე მარინა კვერნაძის მიმართ დიდი ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლებისა და ვალერიან სოხაძის მიმართ ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე, აღნიშნულ საქმეზე მარინა კვერნაძის და თეიმურაზ ქომეთიანის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

მოსარჩელის მითითებით, ვინაიდან მოპასუხეთა დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალდა მატერიალურად, ვინაიდან გადახდილი თანხა დაკარგა და ფაქტობრივად საცხოვრებელი ბინიდანაც ოჯახთან ერთად იქნა გამოსახლებული, ითხოვს დაეკისროს მოპასუხეებს მის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის 61416 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ანაზღაურება, ვინაიდან 1989 წლის მდგომარეობით 40000 რუსული რუბლი შეადგენდა 61416 აშშ დოლარს.

მოპასუხეებს, რამდენიმეჯერ გაეგზავნა შეტყობინება სასამართლო სხდომის დღის შესახებ, მაგრამ უწყთება დაბრუნდა წარწერით, რომ მოპასუხეები აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობენ.

2009 წლის 11 მარტს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა საჯარო შეტყობინების შესახებ, რაც დაკმაყოფილდა და განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ამდენად, სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ მოპასუხეებს მარინე კვერნაძეს და თეიმურაზ ქომეთიანს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით, მაგრამ მოპასუხეები მთავარ სხხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ უცნობებიათ სასამართლოსთვის.

მოსარჩელე ვაჟა ლექვინაძის წარმომადგენელმა ლეილა ფხაკაძემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, ამავე დროს მოითხოვა მოპასუხეებისათვის საჯარო შეტყობინების და სარჩელის უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება (იხ. სხდ. ოქმი).

სასამართლომ განიხილა სარჩელი და თანდართული საბუთები, მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

ამავე კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა მიხედვით, ვაჟა ლექვინაძის სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე, 412-ე და 992-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 230-ე, 233-237-ე მუხლებით:

გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ვაჟა ლექვინაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. მოპასუხეებს მარინე კვერნაძეს და თეიმურაზ ქომეთიანს – მოსარჩელე ვაჟა ლექვინაძის სასარგებლოდ დაეკისროთ 61 416 (სამოცდაერთიათას ოთხასთექვსმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, სარჩელში უზრუნველყოფის ღონისძიების ბაჟის 50 ლარის, ასევე საჯარო შეტყობინების ხარჯის 150 ლარის გადახდა ვაჟა ლექვინაძის სასარგებლოდ.
3. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ხუთი დღის ვადაში გაეგზავნოს მოპასუხეებს მარინე კვერნაძეს და თეიმურაზ ქომეთიანს, რომელსაც განემარტოს, რომ ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით, შეუძლია შემოიტანოს საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
4. ამ ვადის გასლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

**მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი**

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

თუ გვსურს
ქვეყნად
სიყვარული დავნერგოთ,
თუ გვსურს
ზურგი შევაქციოთ
ჩარჩობას,
30-30 დავრეკოთ,
საწყალ ბავშვებს
დავუბრუნოთ
ბავშვობა.



ჯანსუღ ჩარკვიანი

ფონდი „იავნანა“

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: დასაქმებულთა რომელ კატეგორიას არ მიეცემა დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო?**

**მერი მორჩილაშვილი**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება არ მიეცემათ: პირებს, რომლებმაც ტრავმა მიიღეს დანაშაულებრივი ქმედების გამო ან განზრახ აყენებენ ზიანს თავიანთ ჯანმრთელობას, მკურნალი ექიმის მიერ დაწესებული რეჟიმის დარღვევისას; თუ დროებითი შრომისუუნარობა გამოწვეულია დაავადებით ან ტრავმით, რომლის უშუალო მიზეზია არაფხიზელი მდგომარეობა (ალკოჰოლური, ნარკოტიკული და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიებით თრობა); კანონით დადგენილი წესით სამსახურიდან გადაყენების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებით მკურნალობის ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე ყოფნის დროს.

* * *



**კითხვა: რომელი პერიოდის გამომუშავებიდან გამოუანგარიშდება მოსამსახურეს შვებულება შრომისუუნარობის გამო?**

**ლაურა მდინარაძე**

**პასუხი:** მოსამსახურისთვის გასაცემი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს მისი თანამდებობრივი სარგო.

* * *

**კითხვა: როგორი წესით მოხდება დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშება თუ მოსამსახურეს ავადმყოფობის პერიოდში შეეცვალა თანამდებობის სარგო?**

**ვალერი ონიანი**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში დახმარების ოდენობა გამოიანგარიშება ძველი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით, ხოლო თანამდებობრივი სარგოს შეცვლის დღიდან ახალი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

## ჯანმრთელობა

### პამიდორი პროსტატას მკურნალობს?



**ალბათ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სწავლულები ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: პროსტატის კიბოსაგან თავის დასაცავად საუკეთესო საშუალება შეიძლება იყოს პამიდვრის გამოყენება.** პამიდორი ძალზე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის მის შემცველობაში მყოფი ასკორბინის მჟავითა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით. ამერიკელმა მკვლევარებმა ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ დაასკვნეს, რომ პამიდორს შეუძლია, თავიდან აგვაცილოს პროსტატის კიბო. ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ ამ ბოსტნეულის სისტემატურად გამოყენებამ, შესაძლოა, არსებითად შეამციროს ამ დაავადების რისკი. ამჟამად მეცნიერები არკვევენ პამიდვრის სასარგებლო თვისებების არსს და იმედოვნებენ ახლო მომავალში შესაბამისი წამლის შექმნასაც.

### რატომ გვასლოკინებს?



**სლოკინი სასუნთქი ორგანოების ფუნქციების არასპეციფიკური დარღვევაა, რაც ჩნდება დიაფრაგმის ბიძგისმაგვარი კრუნჩხვით შეკუმშვის შედეგად. ის, შესაძლოა, ჯანმრთელ ადამიანსაც დაემართოს. მაგალითად, საერთო გადაცივებისას, ალკოჰოლით დათრობისას, ძალზე მაძღრობით კუჭის გადატვირთვისას.**

სლოკინი დიაფრაგმული ნერვის გაღიზიანებისას (ეგრეთ წოდებული ჩვეულებრივი სლოკინი) წარმოადგენს ნერვიული ციკლის ნიარსახეობას უკონტროლო სპაზმების სახით. ზოგიერთ შემთხვევაში სლოკინმა, შესაძლოა, შეგვატყობინოს ამა თუ იმ დაავადებაზე. მაგალითად, ის ხშირად ჩნდება მუცლის ღრუში მიმდინარე აქტიური ანთებითი პროცესის დროს, თავისა და ზურგის ტვინის ზოგიერთი დაავადებისას, აგრეთვე შეინიშნება ინფარქტისწინა მდგომარეობაში, თირკმელური უკმარისობის განვითარებისას, ინფექციური დაავადებისა და ფსიქიკური აღგზნებულობის შემთხვევაში.

თუკი სლოკინი ხშირად გაწუხებთ და დიდხანს გრძელდება, თქვენთვის აუცილებელია ექიმთან მიმართვა. ის კი დაადგენს მის გამომწვევ მიზეზებს და დაგინიშნავთ მკურნალობას.



### კაქტუსი – იოდის ნაცვლად

**მცირე ჭრილობები შეიძლება დაიფაროს კაქტუსის პატარა ნაჭრებით.** თუმცა მათ ეკლები უნდა მოვაშოროთ. დამწვრობისას კაქტუსის ნაჭრები უნდა შეიცვალოს მათი გაშრობისთანავე. კაქტუსს აქვს ჭრილობაშემხორცებლური შესაძლებლობა.

### ხახვის სასმელი



**მას დიაბეტის საწინააღმდეგოდ ღებულობენ. ის ძალზე მარტივად მზადდება.** ერთი მუჭა ხახვის ნაფცქვენს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი: ნაყენს მთელი დღის განმავლობაში სვამენ. ის სისხლში შაქარს ამცირებს.

### წიწაკა ტერფებისთვის

**წითელი ცხარე წიწაკა (პატარ-პატარებიძ დავაქუცმაცოთ და წამოვადუღოთ ცოტაოდენ წყალში. ნაყენში დავასველოთ ბინტი და დავიდოთ ტერფებზე.** ეს დაგვეხმარება სისხლის მოძრაობის გაძლიერებაში, თვით ტერფებზე სქელი კანის მიუხედავადაც კი, რაც სითბურ ეფექტს იწვევს. მშვენიერი საშუალებაა გაცივების საწინააღმდეგოდ, განსაკუთრებით მის დასაწყისში.

### ოხრახუში ქოშინის წინააღმდეგ



**თუ ქოშინი გაწუხებთ, სცადეთ ყოველდღიურად ოხრახუშის ჭამა.** ის უნდა მიირთვათ წვნიანთან ერთად ან სალათის სახით დღეში სულ ცოტა ერთი კონა მაინც. თუ თირკმლები გაწუხებთ, ოხრახუში წვრილად დაკეპეთ და თაფლთან ერთად ჭამეთ, „ნორმა ისევე ერთი კონაა.

## სიცილი ციფრებსა და ფაქტებში



● მხიარულებთან შედარებით 40 პროცენტით უფრო ხშირად განიცდიან გულის დაავადებებს პირქუში ადამიანები.

● 10-15 წუთი სიცილს შეუძლია, დაწვას იმდენი კალორია, რაც შეესაბამება საშუალო ზომის ერთ ფილა შოკოლადს.

● 100 კმ-საათში – ასეთი სიჩქარით ამოდის ფილტვებიდან ჰაერი სიცილის დროს.

● დღე-ღამეში 17-წუთიანი სიცილი სიცოცხლეს ერთი წლით ახანგრძლივებს.

● არსებობს მცენარეები, ნახევარსაათიან უმიზეზო სიცილს რომ იწვევენ.

● დღეში 300-ჯერ იცინის 6 წლამდე ასაკის ბავშვი. მოზრდილები კი დღე-ღამეში საშუალოდ 15-ჯერ იღიმებიან.

● ადამიანს შეუძლია მაქსიმუმ საათიანი ხარხარი. 1782 წელს ვინმე ქალბატონი ფიტცჯერალდი გარდაიცვალა 3-დღიანი განუწყვეტელი სიცილის შემდეგ.

● ადამიანმა სახის 17 კუნთი უნდა აამოქმედოს, რათა გაიღიმოს. ხოლო რათა შეიჭმუხნოს – 43.

● 4000 დოლარს ღებულობს ამერიკული ტოდ გორდონი რეკლამაში ერთი გაღიმებისთვის.

● ყველაზე მომღიმარი ხალხი ცხოვრობს ბრაზილიაში და კუბაში, ყველაზე პირქუში კი – სკანდინავიის ქვეყნებში.

უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– თქვენ გიჩივიან იმისთვის, რომ მეზობელი ვირს შეადარეთ, – ეუბნება მოსამართლე მიხოს.
– რომელმა მათგანმა მიჩივლა?

* * *

– მართლა გსურთ ცოლთან განქორწინება? თქვენ ხომ მასთან თითქმის ოცი წელიწადი იცხოვრეთ!
– რაო, მიგაჩნიათ, რომ ამის გამო ჯერ საკმარისად არ დავტანჯულვარ?

* * *



– თქვენმა ფუტკარმა დამკბინა, ნახეთ, რა დღეში ვარ! – ეუბნება დამსვენებელი მეზობელ მოხუცს, რომელსაც ფუტკრის სკები აქვს.
– მაჩვენეთ, რომელმა გიკბინათ და ნახავთ, რა დღესაც დავაყრი!

* * *

– სად დადიხართ სოკოებისთვის?
– მეზობლის აივანზე.
– რაო, იქ მოჰყავთ სოკო?
– არა, იქ აშრობენ.

* * *

სულაც არ არის ძნელი ბნელ ოთახში შავი კატის პოვნა, მით უფრო, თუ ვალერიანის წვეთები გაქვს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.